პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მე-
ზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელ. [illegible] 49
[illegible] ქალაქს გარეთ [illegible] სტრიქონით—20 კ. [illegible] წერილი ციფრებით—30 კ. [illegible] ბოლოში—40 კ. წვრილი ციფრებით—60 კ. [illegible] ჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

№ 208 (1063) პარასკევი 12 სექტემბერი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. № 208 (1063)

დღიური

— ჩილეში (სამხრეთ ამერიკაშია) მოხდა გადატრიალება; სახელმწიფოს განაგებს დროებითი მთავრობა.

— ისპანიის ჯარებმა მაროკოში დასტოვეს უკანასკნელი პოზიციები და გაიქცნენ.

მოსკოვში ჩაგიდა ამსტერდამის პროფკავშირების ცნობილი მოღვაწე ფიმენი.

სრულიად რუსეთის ცაკის მეორე სესია გაიხსნება 5 ოქტომბერს.

— ჩინეთში გრძელდება სამხრეთ და ჩრდილოეთის ჯარების შეტაკება. მდგომარეობა გამოურკვეველია.

საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა, პარასკევს, 12 სექტემბერს
ერთიან პარტიულ დღეს
მოყენებული იქნას საკითხი ახალგაზრდობის საერთაშორისო დღის შესახებ. მასალების მიღება შეიძლება რაიკომებში.
თბილ. კომიტ. მდივნის მაგიერ **გოლდბაუმი.**

დადებითი მუშაობა

მენშევიკების ავანტიურამ სხვა ით წარმართა რამოდენიმე დღით ნი ყურადღება. იმ დროს, როდე- ც მთელ ჩვენ ენერგიას, ძალებს, სურსებს მზრუნველობის სულ სხვ ანი უნდა ჰქონდეს და აქვს კიდე- ც ამოღებული მიზნათ, ჩვენ გვევ- ნებიან „საქართველოს მხსნელნი“ ი. დამბრბევენი და ამაოხრებელნი ნი ქვეყნის. ისინი ხელს უშლიან ველისფერს, სადაც კი მათი „ნა- ობი“ ხელი და ჭკუა მიუწვდებათ, რევენ ყოველისფერს, რისი დან- ც მათი შესაძლებლობის ფარ- ებში თავსდება, ერთი სიტყვით მულიშვილურათ“ „აშენებენ“ ერს მეს ე. ი. ანგრევენ მას, რამდენა- ც შესწევთ ამის ძალა და რამდე- დაც ამას დაალევიან მათ.

მშრომელი ხალხის საბედნიეროდ ბჭოთა მთავრობა თვისი ხალხი- ტიური დახმარებით სდარაჯობს ს ინტერესებს და არ აძლევს გა- ქანს თავზე ხელაღებულ ავანტიუ- სტებს, რომელთაც, როგორც ყვიან „ფეხებზე ჰკიდიათ“ ხალხი- ი ინტერესები და კეთილდღეობა.

აი მაგალითად ერთი უმნიშვნელო- ესი საკითხთაგანი ჩვენი კულტუ- ლი მუშაობის: წერა-კითხვის უცო- ნარობის ლიკვიდაცია.

არის საჭირო სიტყვის გაგრძელე- იმაზე, თუ როგორია ამ უცოდი- რობის მხრივ მდგომარეობა ჩვენ ყნის საერთოთ და მისი ყრუ კუთ- ების განსაკუთრებით? ხომ უდავო ქტია, რომ ზოგიერთ მაზრებში გ. ახალციხის) უბრალო ხელის მო- რასაც ვერ ახერხებს მოსახლეობის პროცენტი. რატომ უნდა იყო ბჭოთა რესპუბლიკაში ისეთი კუთ- —გურია (თუმცა ამ მხრივ ყველა- უფრო დაწინაურებული), სადაც კი ვე არის მოსახლეობის 20 პროცენტი ერა-კითხვის უცოდინარი? ეს შეუ- [illegible] ა პარტიამ და ხელისუფლებამ ბო- ლო მოუღოს წარსულის ამ ბნელ ამზის და ოქტომბრის რევოლი- ციის ათი წლის თავისათვის და- თავოს ჩვენი ხალხის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო მუ- შაობა.

რა არის ამისათვის საჭირო? საჭი- როა თვით ხალხის სურვილი ებრძო- ლოს ამ სიბნელეს. შემდეგ სათანა- დო დაწესებულებები, სალიკვიდაციო უნქტები—სკოლები, გარდა ამისა ულტურული ძალები—მასწავლებლე- ი და, რაც უმთავრესია, მატერია- ლური სახსარი.

ხალხის აღფრთოვანებული სურვი- ი ამ საქმეს არ აკლია; გაჭირვებით მოსახერხებელია საჭირო კულტურული ძალების მობილიზაციაც. მაგრამ ხსენებული პუნქტების დასაარსებლათ (უკეთესათ რომ ვთქვათ **დღეს**), მათ გასამრავლებლათ და მასწავლებლების დასაკმაყოფილებლათ სათანადო ჯილდოთი უაღრესათ საჭიროა, როგორც ყოველთვის, ფული. ამ უკანასკნელი აზრით საქმის მდგომარეობა უფრო ძნელია. მაგრამ მიუხედავათ ამისა ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი ინიციატივის თანამშრომლობით, ჩვენ ვცდილობთ თვით შეუძლებელის მოხერხებასაც, რათა ხალხის სურვილი და ჩვენი მიზანი საქმით ვაქციოთ, ხორცი შევასხათ.

სწორეთ ასეთ დროს, როდესაც მთელ ხალხთან ერთათ დაკარწახებული ჩაბმული ვართ ამ საქმეებში, ბრძოლას ვაწარმოებთ ქვეყნის კულტურულათ აღორძინების ამ მნიშვნელოვან ფრონტზე—ასეთ დროს რე- იანი ბენია ჩხიკვიშვილები თავიანთი თავადაზნაურებითა და ყაჩაღთა ბრბოების დახმარებით გვიხსნიან სხვა ფრონტს, ფრონტს „სამოქალაქო ომისას“.

რასაკვირველია, ამ „სამოქალაქო ომის“ მთამ, როგორც იტყვიან, „თაგვი“ შვა და მათ მიერ განზრახულის მაგიერ ჩვენ „მივიღეთ“ ვრილფეხა ცულუტების ავანტიურა. მაგრამ ამ ავანტიურის ლიკვიდაციამაც შეიწირა ენერგია, ძალები, ალხი, ფული, და ეს მაშინ, როდესაც აუცილებელი საქმეები ფერხდება, სწორეთ უსახსრობის გამო.

დღეს ჩვენ გაზეთში იბეჭდება მუშ. და გლ. ინსპექციის წინადადებანი წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ და ამის გამო შევახერეთ ჩვენი მკითხველების (და ყველა მათი, ვისაც ეს საქმე სპეციალურათ შეეხება) ყურადღება ამ საკითხზე.

ინსპექციის მოსაზრებებს უნდა მიექცეს უაღრესი ყურადღება ყველას მიერ. მისი წინადადება სახსარის გადიდების და „წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლი საზოგადოების“ მუშაობის გაცხოველების შესახებ უნდა იქნეს გატარებული მაქსიმალური შესაძლებლობით.

ამ გზით უნდა წავიდეთ და ვიმუშაოთ ხალხის კულტურულად დაწინაურებისათვის. ავანტიურისტები ვერ მოახერხებენ აგვაცდინონ ამ გზას. მათ შეეძლოთ დღემდე კიდევ ხელის შეშლა რამოდენიმეთ. მაგიერათ დაიმსახურეს ხალხის რისხვა რომელსაც ისინი ვერ წამოუდგებიან ვერასოდეს.

დადებითი მუშაობა—აქეთკენ მოვუწოდებთ ჩვენ მშრომელი ხალხის ყველა გულწრფელ მეგობრებს.

განმანთავისუფლებელი მოძრაობა ჩინეთში

„ფრთხილად ინგლისის, იაპონიის ა საფრანგეთის ბანდიტებო! ანგა- იშების გასწორების ჟამი ახლო რის. თუ თქვენ ხელს არ აიღებთ ალადობის პოლიტიკაზე და 1901 ლის ხელშეკრულებაზე, თქვენ ვერ იშველით ვერც დიპლომატიური ვარტალის მაღალი კედელი და ვერც ქვენი ჯარები“—ასეთ მოწოდებები ავრცელდა ჩინეთში, სადაც ამ ჟა- ად მძვინვარებს სამოქალაქო ომის ცეცხლი.

გუშინდელი ცნობით უკვე ოფიციალურად გამოცხადებულია ომი ჩრდილოეთ და სამხრეთ ჩინეთს შორის. ამხრეთ ჩინეთის კანტონს მეთაურობს ცნობილი რევოლიუციონერი უნ-იატ-სენი, რომელიც გაბედულ ბრძოლას უცხადებს ჩინეთში მოკა- ათებულ მსოფლიო იმპერიალის- ებს და მათ ამყოლ-დამყოლ შინა- რ კონტრ-რევოლიუციონურ ძალებს.

სუნ-იატ-სენის წინააღმდეგ მოქმე- ობს ცაო-კუნი, რომლის დასაყრდობს არმოადგენს ჩრდილოეთ ჩინეთი ონკონგი და მთელი საზღვარგარე- ელი იმპერიალისტურ კაპიტალის- ური ძალები. საფრანგეთი, ინგლი- , ამერიკა და იაპონია მთელი შე- ძლებლობით უჭერენ მხარს სუნ- ტ-სენის წინააღმდეგ მებრძოლ ჩი- თის ძალებს, რომელთა დასახმა- ებლათ ისინი გზავნიან ჩინეთში ავალ თავის სამხედრო გემებს და სანტს.

კაპიტალისტური სამყარო ვერ იგდება ჩინეთის ნაციონალურ განთავისუფლებელ ბრძოლას; ის არ ურებს ძალებს და საშუალებებს დასამარცხებლად, 400 მილიონიან ეთის მოსახლეობის თავის მონო- ქვეშ დასატოვებლად. მსოფლიო რჟუაზია რეაქციონურ ძალათ გამოდის და წინ ·ელობება ყოველგვარ განმათავისუფლებელ მოძრაობას, მაგრამ ალსანიშნავია, რომ მეორე ინტერნაციონალიც მასვე უმშვენებს გვერდს და ამავე პოლიტიკას იზიარებს.

მეორე ინტერნაციონალის ერთი ბელადთაგანი ინგლისის პრემიერი მაკდონალდი აშკარათ უჭერს მხარს ჩინეთის ვაჭრების კონტრ-რევოლიუციონურ ბრძოლას სუნ-იატ-სენის წინააღმდეგ. „მუშათა პარტიის“ ბელადი განაგრძობს ჩინეთის მშრომელთა მიმართ იმავე ინტერვენციონისტურ პოლიტიკას, რომელსაც მიმართავდენ საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ მისი წინამოადგილეები ბურჟუაზიულ-კონსერვატიულ პარტიებიდან.

რეაქციონური ბუნება საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის და მისი შტაბის—მეორე ინტერნაციონალის საუკეთესოდ სჩანს მის აშკარა დახმარებიდან ჩინეთის კონტრ-რევოლიუციისადმი. სუნ-იატ-სენის მიმართვაში მაკდონალდისადმი ნათქვამია, რომ ჩინეთის კონტრ-რევოლიუციონერთა აჯანყება ხდება ბრიტანეთის მთავრობის ფინანსიურ, დიპლომატიურ დახმარებით და იარაღის მიწოდებით.

აღმოსავლეთის და აზიის გამოღვიძებას მონობისაგან, მათ განთავისუფლებას მხოლოდ საბჭოთა კავშირი შეხარის, რომელმაც თავიდანვე წამოაყენა ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგი. საბჭოთა კავშირთან ერთად ჩინეთის ნაციონალურ-რევოლიუციონურ მოძრაობას მხარს უჭერს მთელი მსოფლიოს რევოლიუციონური მუშათა კლასი, რომელიც დაინტერესებულია ყოველგვარ ჩაგვრა-მონობის მოსპობით მთელ მსოფლიოში.

ჩინეთის საკითხში მთელი მსოფლიო ორ ბანაკად იყოფა: ძველი—ბურჟუაზიული ქვეყანა მეორე ინტერნაციონალთან ერთად და ახალი მსოფლიო კომუნისტური პარტია და რევოლიუციონურ მუშათა კლასის მეთაურობით.

საბჭოთა რესპუბლიკების პროფკავშირებმა უკვე დაარსეს საზოგადოება „ხელი შორს ჩინეთისაგან“ და ასეთივე საზოგადოებათა დაარსებისკენ მოუწოდებენ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასს.

ამნაირად ჩინეთის რევოლიუციონური მოძრაობის გამარჯვებაში დიდათ დაინტერესებულია მთელი პროლეტარული მსოფლიო. ბრძოლის შედეგები ჯერ კიდევ გამოურკვეველია. სუნ-იატ-სენის წინააღმდეგ მომქმედი ძალები საკმაოდ დიდია, მაგრამ ჩინეთის გამოღვიძება უკვე დაიწყო და მის შეჩერებას ვერ შესძლებენ ვერც შინაური კონტრ-რევოლიუციონური ძალები და ვერც ევროპა-ამერიკის ბურჟუაზიული მთავრობები. ჩინეთის მშრომელთა თანაგრძნობა სუნ-იატ-სენის მხარეზეა და ეს ხდის მას ეროვნულ-რევოლიუციონურ გმირათ.

ჩინეთის მშრომელთა წრეებში დიდი აღშფოთება და მღელვარება სუფევს მსოფლიო ბურჟუაზიული მტაცებლობის წინააღმდეგ, რომლებსაც ის ანგარიშის გასწორებით ემუქრება. გომიდიანის პარტიას, რომელსაც მეთაურობს სუნ-იატ-სენი ჩინეთის მუშათა კლასიც უჭერს მხარს და მიაქანებს მას მარცხნივ იმპერიალიზმის და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუსეთის რევოლიუციამ გამოაღვიძა ჩინეთის მრავალ მილიონიანი საუკუნოებრივ მონობაში მყოფი მშრომელი მასა. საბჭოთა კავშირმა იცნო ჩინეთი თანასწორ მხარეთ საბჭოთა კავშირის და ჩინეთს შორის ხელშეკრულების დადების დროს. ამ პირველ მაგალითს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩინეთის მშრომელთა გათვითცნობიერებისათვის.

მეფის რუსეთის მთავრობის პოლიტიკის ნაცვლად ჩინეთის მშრომელმა ხალხმა ამხ. კარახანის სახით დაინახა ახალი საერთაშორისო პოლიტიკის ამომძრავებელი ძალა—კომუნიზმი, რომელსაც უკავშირდება მთელი ჩაგრული კაცობრიობა. ჩინეთის წაიშლება საზღვარგარეთელი კაპიტალისაგან განთავისუფლების შესაძლებლობა და ისიც თავდადებულად ილაშქრებს საუკუნოებრივ მონობის ბუნდების დასამსხვრევად.

მსოფლიო ბურჟუაზიის შიში ჩინეთის განმანთავისუფლებელი მოძრაობის წინაშე საფუძვლიანია, რადგანაც ეს მოაქვს სიკვდილი მსოფლიო იმპერიალიზმისთვის და რეაქციისთვის. გამოღვიძებული ჩინეთი და მთელი აღმოსავლეთი მსოფლიო რევოლიუციონურ მუშათა კლასის დახმარებით შესძლებს იმპერიალიზმის და კაპიტალიზმის დასამარებას.

ანგარიშების გასწორების ჟამი ახლო არის.

ი. ბ.

მენშევიკების უკანასკნელი ავანტიურის გამო

(სოფლის მასწავლებლის ხმა)

როცა ერთი წლის წინათ 12 ათასმა მუშამ სოც.-დემოკრატმა, პარტიის აქტიურმა მასსამ, მიატოვა ეს პარტია და მტკიცედ დადგა კომინტერნის დროშის ქვეშ, ბევრი გულუბრიყვილო ჩვენში მენშევიკური პარტიის დაშლას ჩეკის სისასტიკით ხსნიდა. დღეს კი, როცა საქართველოს მენშევიკური პარტიის უკანასკნელი კუნჭულის ფარდაც აიხადა, ყველასათვის ნათელი შეიქნა, რომ ამ პარტიაში არ მოიცდებოდა არც ერთი მუშა და გლეხი, რომელთაც თავისი რევოლიუციონური მიზნები არ დაუმარხია.

საქართ. მენშევიკური „პარტია“, სადაც მუშებისა და გლეხების მიერ დაცარიელებული რიგები შეავსო ხუცებმა, ვაჭრებმა, თავად-აზნაურობამ და მეფის დროის უსაქმოდ დარჩენილმა ოფიცრებმა, რომელთაც თავისი კლასიური ბუნების თანახმად არც სურთ და არც შეუძლიათ შეურიგდენ მშრომელთა ბატონობას,—მენშევიკური „პარტია“ სრულიად შეგნებულად შეიქმნა ამ ახალი ჭრელი საზოგადოების ინტერესების გამომხატველი და ცხადია მისი მიზნები არსებითად დაუპირისპირდა მუშათა და გლეხთა ინტერესებს.

28 აგვისტოს ავანტიურა, რომელიც გამოიხატა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში „აჯანყებების“ მოწყობაში, სადაც მათი ბატონობა სულ რამდენიმე საათებით განისაზღვრებოდა, არის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი იმისა, თუ სანამდის ჩაქვეითდა იდეოლოგიურად საქართველოს მენშევიზმი. 3—4 წლის წინათ ძნელად მოიპოვებოდა ჩვენში ისეთი მენშევიკი, რომელსაც ეჭვი ჰქონდა მენშევიკური პარტიის მშრომელი ხალხისადმი გულწრფელ სამსახურში. მათ არ შეეძლოთ წარმოედგინათ მენშევიკური პარტიის ხელმძღვანელების ისეთი გადაგვარება, რომ დაკარგული ადგილების დასაბრუნებლად კავშირს გაამბმენ ერთის მხრივ უცხოეთის შაკრაზმელებთან, საფრანგეთის მმართველ წრეებთან და მეორეს მხრივ—შინაურ კონტრ-რევოლიუციონერებთან.

დღეს კი თვით მენშევიკების უჯარო გენერლები აცხადებენ საჯაროთ, რომ ისინი დიდი ხანია ამ აჯანყებისათვის ემზადებიან და სათანადო დახმარებას იღებდენ საფრანგეთ-ინგლისის მთავრობებისაგან.

რა სურდათ 28 აგვისტოს აჯანყების მომწყობთ?

რასაკვირველია, „საქართველოს განთავისუფლება“, ანუ ლიკვიდაცია, გაუქმება ყოველივე იმისი. რაც ამ 3 წლის განმავლობაში გაკეთდა საბჭოთა ხელისუფლების მიერ. რომ ეს ასეა, ამას ამტკიცებს ჭიათურისა და სენაკის მაზრის მაგალითები, სადაც იმ რამოდენიმე საათებში, როცა საშუალება მიეცათ თავისი ვერაგული განზრახვები სისრულეში მოეყვანათ, **დაიწყეს გლეხების მიერ დამუშავებული ყანების მითვისება, ხოლო სენაკში „საქ. განმთავისუფლებელი კომიტეტის“ წევრმა ეროვ.-დემოკრატმა მყისვე დაუბრუნა ვაჭრებს ჩამორთმეული სახლები,** ხუცებმა კი განაახლეს ყირვა-ლოცვა და შეეცადენ სარწმუნოების ბორკილებით ხელ-ახლა დაეპყროთ გლეხის გონება.

მონობის ბორკილებიდან ერთხელ განთავისუფლებული ჩვენი მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა ცხადია ხელმეორედ არ ისურვებდა იმავე მონობის განახლებას და ამიტომ მთელი თავისი ძალ-ღონით წინ აღუდგა მენშევიკურ თავად-აზნაურ გამოსვლებს.

დამახასიათებელია რომ არც ერთ ადგილას ამ გამოსვლებში არ მიუღია მონაწილეობა მშრომელი ელემენტებს. ეს კი თავის მხრივ აშკარად ადის ამ გამოსვლების წმინდა თავადაზნაურულ ავანტიურისტული ბუნებას.

საქართველოს მშრომელ ხალხს ჯერ კიდევ შავ რეაქციის დროს გვერდში ედგა სოფლის მასწავლებელი, რევოლიუციონური იდეების გამავრცელი.

დღესაც სოფლის მასწავლებელი იმავე სოფლის მშრომელი მოსახლეობასთან დარჩა და მენშევიკების ამ უკანასკნელი ავანტიურას, გარდა ერთი ან ორი შემთხვევისა, თითქმის არსად არ აყოლია. მართალია ზოგი ულ უკანასკნელ ხანამდე ერთგვარი თანაგრძნობით კიდევ ეპყრობოდენ როდესაც „მუშათა პარტიას“, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანებში მომხდარ ამბების შემდეგ ყველა უნდა დარწმუნდეს, რომ ამ „პარტიას“ აღარც ერთი რევოლიუციონერი და სოციალისტური ელემენტი არ შერჩენია და პირიქით იგი გახდა თავისი თავად-აზნაურული ამალით ძველი საზოგადოების დამცველ იარაღად. ამიტომ სოფლის მასწავლებლობის იმ ერთეულებმა, რომლებიც კიდევ უთაგრძნობდენ მათ ამის შემდეგ საბოლოვოდ უნდა გასწყვიტონ ყოველგვარი კავშირი ძველ აზროვნებასთან.

ამხანაგებო, სოფლის მასწავლებლებო! ახლო მომავალში ჩვენი სოფლის სკოლის კარები კვლავ გაიღება; კვლავ მოაწყდება მას მრავალი სოფლის მშრომელი გლეხობის შვილები, რომელთა აღსაზრდელად ჩვენ ვართ მოწოდებული. არც საბჭოთა მთავრობას და არც მშრომელ მასებს არ შეუძლიათ მცირე წლოვანების აღზრდა ჩააბარონ ისეთ მასწავლებლებს, რომელთაც არც პატიოსნათ სჯერათ და არც გულწრფელად სურთ მშრომელთა სახელმწიფოს ინტერესების დაცვა.

რომ ვინმემ თავის ეჭვით ჩრდილი არ მიაყენოს ჩვენ გულწრფელ მუშაობას საბჭოთა რესპუბლიკის კულტურულ ფრონტზედ, საჭიროდ მიმაჩნია სწავლის განახლების წინ ყველა რაიონებში მოეწყოს მასწავლებლებთა კრებები, რომელზედაც შესაფერისად იქნეს დაგმობილი მენშევიკების ავანტიურა და სათანადო რეზოლიუციების გამოტანით ნათელყოთ საბოლოოთ ჩვენი მასწავლებლობის დამოკიდებულება ამ მომენტთან.

დიე, ამ ისტორიული გაკვეთილის შემდეგ სოფ. მასწავლებლობამ კიდევ უფრო მტკიცეთ, უფრო მეტის ენერგიით ხელიხელჩაკიდებული მშრომელ გლეხობასთან ერთად გასწიოს საბჭოთა საქართველოს კულტურული და ეკონომიური აღმშენებლობისაკენ.

გაუმარჯოს მშრომელთა ინტერესების მტკიცე დარაჯს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს მესამე კომინტერნს!

სოფლის უპარტიო მასწავლებელი—
მინა კოპალეიშვილი

მენშევიკურ ავანტიურის ლიკვიდაცია

ბანდიტების ტყვეობაში

ამხ. რუბენის და სტურუას დაბრუნება

ბორჯომი. 11 სექ. გუშინ ღამით ბორჯომში ჩამოვიდენ ამხ. რუბენი და სტურუა, რომლებიც ტყვეთ იყვნენ წაყვანილი ბანდიტური ავანტიურის დროს მუხიანში.

ამხ. რუბენმა „ზაკრასტა“-ს თანამშრომელს განუცხადა, რომ **მენშევიკურმა ბანდამ, რომელმაც ხელში ჩაიგდო კომუნარები, მიუსაჯა მათ დახვრეტა**, მაგრამ იმის გამო, რომ ბანდაში მოხდა უთანხმოება მენშევიკებსა და სისხლის სამართლის დამნაშავეებს შორის, რომლებიც თავმოყრილი იყვნენ ბანდაში ავანტიურის დროს, დახვრეტა არ მოხდა კომუნარების მოულოდნელმა თავდასხმამ აიძულა ბანდიტები უგზო-უკვლოდ გაქცეულიყვნენ ტყეში. ამხ. რუბენი, ვანო სტურუა და სხვები თავისუფალი აღმოჩნდენ.

დღეს ამხ. რუბენი გაემგზავრა აბასთუმანში.

ბათომი. 11 სექ. ჩამოვიდა ბანდების ხელიდან განთავისუფლებული გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის წარმომადგენელი ამიერკავკასიის რკინის გზებზე ამხ. სამსონ ჯანაშია. რომელიც ტყვედ იყო 8 დღე და ღამის განმავლობაში ამხ. რუბენთან, ვანო სტურუასთან და ალექსანდრე ჩეჩელაშვილთან ერთად. „ზაროსტა“-ს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. ჯანაშიამ განაცხადა შემდეგი:

— შვებულებაში ყოფნის დროს ჩვენ გავიგეთ განზრახულ ბანდიტურ გამოსვლის შესახებ. მაშინვე ჩვენ გავემგზავრეთ ავტოდრეზინით რიონიდან სამტრედიის სადგურისაკენ. ჩვენი გამგზავრების მიზანი იყო შეგვემოწმებია, თუ რამდენად საფუძვლიანია ხმები „აჯანყების“ შესახებ სადგურ მუხიანში ჩვენ უეცრად სროლა აგვიტეხა ბანდიტების რაზმმა. რომელმაც ჩვენ ტყვედ წაგვიყვანა. ბანდიტები გვთხოვდენ ჩვენ გამოვტეხილიყავით, რომ მივდიოდით აჯანყების ჩასაქრობად. **შემდეგ გვითხრეს: „არამზადებო, ბანდიტებო, მოსკოვის აგენტებო“ ჩვენ ყოველ სამ-ოთხ საათში წყვილ-წყვილად გა[illegible] გავყავდით დასახვრეტად, მაგრამ შემდეგ ამბობდენ, რომ დახვრეტა გადადებულია კიდევ რამოდენიმე საათით.** უკან დახევის დროს ბანდიტებმა წაგვიყვანეს ჩვენ მთებში, სადაც განაგრძობდენ დაცინვას, არ გვაძლევდენ საჭმელს. მახლობელ სოფლების გლეხობა, რომელიც ყოველთვის თანაგრძნობით ეპყრობოდა საბჭოთა ხელისუფლებას, გვაძლევდა ხანდახან საჭმელს.

ჩვენ გაგვანთავისუფლეს მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ბანდიტებს ალყა შემოარტყეს ჩვენმა რაზმებმა.

მანგლისის რაიონის მშრომელთა ხმა

მანგლისის რაიონის კომპარტიის და ახალგაზრდა კომკავშირის წევრების და მანგლისის რაიონის სამხედრო ნაწილების გაერთიანებულმა კრებამ უპარტიოებთან ერთად მოისმინა რა ამხ. ხაცკევიჩის მოხსენება საბჭოთა კავშირის და კერძოთ საქართველოს მდგომარეობის შესახებ უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით, [illegible] დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის ლაქიებს—მენშევიკებს, თავადებს და აზნაურებს, რომელთაც მსოფლიო მტაცებელთა მიერ მოსყიდულებმა სცადეს მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას დამხობა.

საზოგადო კრება ხმა-მაღლა აცხადებს, რომ ყოველი [illegible] საბჭოთა [illegible] ხელისუფლების წინააღმდეგ დაუნდობლათ ჩახჩობილი იქნება პროლეტარულ დიქტატურის რკინის ხელით.

მუშათა და გლეხთა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებიდან ჩვენ მოვითხოვთ ბანდიტური გამოსვლის ხელმძღვანელთათვის მკაცრ სასჯელს.

აღვნიშნავთ რა ფაქტს, რომ მონაწილეთა უმრავლესობა შესდგება მემამულეთა, თავად-აზნაურთა და მღვდელთაგან, საერთო კრება აცხადებს, რომ მხოლოდ მათი განადგურება მოგვცემს საშუალებას საქართველოს მუშებს და გლეხებს სახალხო მეურნეობისა და მშვიდობიან აღმშენებლობითი მუშაობის [illegible]

მშრომელი ხალხი გაუსწორდება ავანტიურისტებს!

ბორჯომის მასწავლებელთა ხმა

ამხანაგებო, 28 აგვისტოს, ქალაქ ჭიათურაში და საქართველოს ზოგიერთ სხ. ადგილებში მოხდა თავად-აზნაურ-ბურჟუაზიის ავანტიურისტული გამოსვლები. ბანდიტებმა ერთხელ კიდევ სცადეს მშრომელთა წინააღმდეგ კონტრ-რევოლიუციის მოწყობა, ერთხელ კიდევ განიზრახეს მშრომელთა მშვიდობიანი ცხოვრების დარღვევა და მათი აღმშენებლობითი მუშაობის დანგრევა, არევ-დარევა, მაგრამ ამაოდ... ეს ავანტიურისტული გამოსვლა იყო დამარცხებული, კონტრ-რევოლიუციის უკანასკნელი უიმედო სიკვდილის წინ ამოძახილი კვნესა.

უიმედო ამოძახილი სულით მოარძავი კონტრ-რევოლიუციონურ ლეშისა, რომელიც თურმე კიდევ სულდგმულობდა საზღვარგარეთ გადახვეწილ კონტრ-რევოლიუციონურ ძალებისაგან.

ჩვენ, გვახსოვს მშრომელთა მტრებმა ბევრჯელ განიზრახეს მშრომელთა დამარცხება, მშრომელთა სამეფოს განადგურება, მაგრამ საბჭოთა მთავრობამ ყოველთვის გმირულად დაამარცხა ისინი და მშრომელთ მიანიჭა მყუდრო და მშვიდობიანი ცხოვრება.

დღეს კომუნისტური პარტია იმდენათ ძლიერია, რომ ის არამც თუ შესძლებს როგორც შინაურ, ისე გარეგან შემოსეულ მტრების მოგერებას, დამარცხებას, არამედ ის მზათ არის და ძალაც შესწევს გადავიდეს სხვა დაჩაგრულ-დამონავებულ ქვეყნების კაპიტალისტ-ბურჟუაზიის შეტევაზე მშრომელთა გასანთავისუფლებლად. რა თქმა უნდა როდესაც ამას მოითხოვს დრო და მომენტი. ეს, დრო ეს მომენტი შორს არ არის; ამხანაგებო, მთელი დედა-მიწის ზურგზე მთელ მსოფლიოში კომუნიზმი წითელი რაშით დაჭროლავს და ტვირთმძიმეთ მშრომელებს მოუწოდებს გაერთიანებისაკენ, კაპიტალისტური წესწყობილების დასანგრევად, ევროპის ციხეები, სარდაფებში, ქარხნებში იღვიძებენ წითელი არწივები... ბურჟუაზია თრთის...

ჩვენში, მთელ დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილზე უკვე შეუდექით სოციალისტური ქვეყნის შენებას, ნიადაგს უმზადებთ კომუნიზმს, ხოლო ამისათვის საჭიროა მშვიდობიან მყუდრო აღმშენებლობითი მუშაობა, ამის ხელის შემშლელი მოღალატე მშრომელთა განთავისუფლების და კაცობრიობის პროგრესის. ჩვენ მოვითხოვთ ავანტიურისტების ალაგმვას, მათი შეუბრალებლად სასტიკათ დასჯას.

ერთხელ და სამუდამოთ უნდა გაიწმინდოს ჩვენი ქვეყანა მშრომელ ხალხის შეურიგებელ მტრებისაგან არავითარი ლმობიერება, არავითარი შებრალება მშრომელი ხალხი წინააღმდეგ იარაღით გამოსულ მტრებს.

ამხ. მასწავლებლებო, მშრომელთა ისტორიული მტრები კაპიტალისტ მემამულეები, იგივე ჩვენ მტრებია, ჩვენი მოვალეობა მუშებთან და გლეხებთან და მათ მთავრობასთან მტკიცე კავშირის შექმნა, მათთან ერთად ახალი შრომის სამეფოს შენება და აღმშენებლობითი მუშაობაში აქტიურ მონაწილეობის მიღება.

მოვითხოვთ ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრების დამრღვევ ავანტიურისტების სასტიკათ დასჯას.

დიე, ერთხელ და სამუდამოთ ყოველ ჯურის ავანტიურისტებმა იცოდნენ, რომ მშრომელი ხალხი მათ სასტიკათ გაუსწორდება.

სიკვდილი ავანტიურისტებს, სიკვდილი კაპიტალისტებს, სიკვდილი მშრომელ ხალხის მოღალატეებს, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, და მის ხელმძღვანელს კომუნისტურ პარტიას!

ბორჯომის მასწავლებლობა:

ალ. ადსაბაძე, ვ. ყაზაროვი, ი. გორგაძე, ა. მაისურაძე, ქ. კასრაძე, მ. მგელაძე, ლაუდენბახ, მ. ყენია, ქობულაშვილი, როსტიაშვილი, გურამიშვილი, მაისურაძე, ნოზაძე, კ. ვეფხვაძე, შალიბაშვილი, ალ. თაბუკაშვილი, ლეო ფატარიძე, ა. დეკანოზიშვილი.

დანარჩენების გვარი გაურკვეველია. სულ ხელს აწერს 28 კაცი.

რედ

ბორჯომის კავშირების ხმა

ბორჯომი. 11 სექტემბ. ბორჯომის ყველა კავშირებს გამოაქვთ რეზოლიუციები, რომლებიც მოითხოვენ, რომ მთავრობამ შეუბრალებლად დასაჯოს საქართველოში კიდევ დარჩენილი ბანდიტი-მენშევიკები.

განათლების და საბჭოთა მუშაკების კავშირთა რეზოლიუციაში ნათქვამია; გასამკეცებული ენერგიით განვავითარებთ ჩვენ მუშაობას მასების განათლების დარგში და ამით ერთხელ კიდევ დავამტკიცებთ, რომ მთელი მასწავლებლობა და ინტელიგენცია საბჭოთა ხელისუფლებასთან არის“.

ბანკების თანამშრომელთა ხმა

1924 წ. სექტემბრის 9-ს თბილისის კომუნალურ ბანკის, სასოფლო-სამეურნეო ბანკის, სავაჭრო-სამრეწველო ბანკის, რუს. კოოპერატიულ ბანკის და საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობათა, ადგილკომთა და ყველა თანამშრომელთა საზოგადო კრებამ, იქონია რა მსჯელობა საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში მომხდარ მენშევიკურ ავანტიურისტულ გამოსვლების შესახებ, დაადგინა: საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებამ დაამყარა მშვიდობიანობა და საუკუნოთ ალკვეთა შესაძლებლობა მეზობელ ხალხებთან შეტაკების და სისხლის ღვრისა, დანგრეულ ცხოვრების ეკონომიურად და კულტურულად აღორძინების საქმეს მჭიდრო საძირკველი ჩაეყარა, მეცნიერებამ თვალსაჩინო ნაბიჯები წარსდგა წარმატების და განვითარების გზაზე, მწერლობას და ბეჭდვითი გამოცემას დაეტყო აყვავების უტყუარი ნიშნები. დიდი ენერგიით და თავგამოდებით შეუდგა საბჭოთა ხელისუფლება განადგურებულ ეკონომიური მხარის აღდგენას და სამეურნეო დარგის გამოცოცხლებას.

კერძოდ, ახალ პრინციპებზე აშენებული ბანკები, რომელთა მოღვაწეობა მიმართულია არა ხალხის ყვლეფა და შეძლებულ კლასთა ჯიბეების გასქელებაზე, როგორც ეს იყო დამხობილ რეჟიმების დროს, არამედ სახელმწიფოებრივ ინტერესების და მშრომელ ხალხის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესობის ნიადაგზე,—ხედავენ საბჭოთა ხელისუფლებაში თავის დამცველს და გზის მაჩვენებელს. მიუხედავად იმისა, რომ ბანკების დაარსებიდან დიდხანს არ გაუვლია, მათი მუშაობის შედეგი ყველასათვის თვალსაჩინოა, მაგ. სახელმწიფო ვაჭრობის და მრეწველობის გაფართოვება, კომუნალური აღმშენებლობის ზრდა, კოოპერატივების მუშაობის შეუჩერებელი წინსვლა, სოფლის მეურნეობის ხელისშეწყობა, მუშათა სახლების აგება და საერთოდ შეკეთება ბინებისა და ბევრი სხვა. ყველა ეს შესაძლო იყო და არის მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებითა, რასაც გრძნობს და კეთილსინდისიერად აფასებენ ყველა ბანკების თანამშრომლები, რომლებსაც არ დაუზოგავთ და არ დაზოგავენ თავის ძალ-ღონეს, ცოდნას და ენერგიას საბჭოთა ხელისუფლების გასაძლიერებლად საზოგადოთ და კერძოთ აღნიშნულ ფრონტზე.

აღიარებს რა ზემოხსენებულს, კრება ერთხმად აცხადებს საქვეყნოდ, რომ ასეთ ინტენსიურ მუშაობის დროს ყოველივე დარგში ქვეყნის ასაყვავებლად და საკეთილდღეოდ, იმპერიალისტებისაგან მოსყიდულ ავანტიურისტების გამოსვლა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მენშევიკების და მათი ამალის სახით მას მიაჩნია გაუმართლებელ დანაშაულად ერის წინაშე, უცხადებს ხალხის მტრებს თავის უმკაცრეს პროტესტს, საქვეყნოდ ჰგმობს ერის ფიზიკურად და ეკონომიურად განმანადგურებელ მოქმედებას და აძლევს აღთქმას საბჭოთა ხელისუფლებას, რომ ყოველთვის მზად იქნება მთელი თავისი ძალ-ღონე შესწიროს მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვას, მუშათა კლასის კეთილდღეობას და გაუმჯობესებას.

ძირს ავანტიურა

თელავის მაზრის მშრომელთა ხმა

მენშევიკების, ნაციონალ-დემოკრატების და სხვა მსგავსი ავაზაკების იერ მოწყობილ „აჯანყებების“ [illegible] ვენს მაზრაში უხვად გავრცელებულ პროვოკაციული ხმების გასაფანტავათ ამ თვის 5-დან დაიწყო კამპანია.

ამ მიზნით ოთხი ამხანაგი: ს. ცინცაძე, ივ. დავითიანი, ნ. იმნაძე და ჯიჯიშვილი სასწრაფოდ გავემგზავრეთ თელავის მაზრის უმთავრეს რაიონებში: ყვარელის, ახალსოფლის, ნისლის და შილდის.

მიტინგებს მრავალი ხალხი ესწრებოდა. მთელი მშრომელი გლეხობა სოფლებიდან მოეშურებოდა მიტინგზე, თითქმის ბავშვები და ქალებიც კი არ აკლდებოდნენ... ხალხის სულიერი განწყობილება მშვენიერია, აღფრთოვანებული არიან ჩვენი სახელოვან წითელ ლაშქარის და კომუნარების გამარჯვებით: თითქმის ყველა მიტინგზე გლეხები გაიძახოდენ: —„სჯობს ჩვენ დავიხოცოთ, ვიდრე ჩვენი მუშების და გლეხების ხელისუფლება დაუთმოთ“ მათ, ვინც ოდესღაც ძაღლებზე და კატებზე გვყიდდა.

„კაცო ძლივს ვეღირსეთ თავისუფლათ ამოსუნთქვას, ერთი გადახედეთ [illegible] ტანისამოსი, ვიღა დარჩა მშიერ-მწყურვალი?“

მიტინგებზე გამოდიოდენ ერცელი სიტყვებით როგორც ადგილობრივი გლეხები, აგრეთვე ჩვენგან: ს. ცინცაძე, ყოფ. მენშევიკებიდან, ივ. დავითიანი, ნ. იმნაძე და ახალგაზრდა კომკავშირის წევრი გ. ჯიჯიშვილი.

მიტინგებმა ყველგან თითქმის მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „მოვისმინეთ რა მოხსენებები მომხდარ ამბებზე და კონტრ-რევოლიუციონური პარტიების მენშევიკების, ფედერალისტების და ეროვნულ-დემოკრატების გამოსვლების შესახებ, აუცილებლათ საჭიროთ ვსცნობთ მოღალატეთა წინააღმდეგ სასტიკი ზომების მიღებას.

ვუგზავნით ჩვენ მუშურ-გლეხურ მთავრობას ჩვენს გულითად სალამს და ვპირდებით მას ყოველგვარ დახმარებას.

გაუმარჯოს მუშას და გლეხს, გაუმარჯოს მის მთავრობას!

ძირს კონტრ-რევოლიუციონური მენშევიზმი და იმათი ამყოლ-დამყოლები.

ჩაადგია გულზე თავად-აზნაურობას!

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც საბჭოთა ფედერაციის მთელს ტერიტორიაზე თავისუფლად ამოისუნთქა მრავალ საუკუნოების განმავლობაში თავად აზნაურების მიერ დამონებულმა და ტანჯულმა გლეხობამ. უწინდელი გლეხის სურათი რომ დღეს წარმოვიდგინოთ, ნათლად დავინახავთ, თუ რისთვის არის თავგამოდებული თავად-აზნაურობა, რა დგია მას გულზე და რისთვის ფართხალობს თავმოჭრილ ქათამივით. ყოველივე ეს გლეხებმა დღეს კარგად უნდა იცოდეს და არავითარ შემთხვევაში არ გახდეს მსხვერპლი მენშევიკების, ყოველი ჯურის თავად-აზნაურობის, სამღვდელოების და სხვათა ანკესისა.

უწინ გლეხებს არ ქონდათ თავიანთი მიწა-წყალი.

ის ადგილი, რომელზედაც ისინი მუშაობდნენ შეადგენდა თავადის და აზნაურის სრულ საკუთრებას. გლეხები ოფლსა ღვრიდნენ, წელებზე ფეხს იდგამდენ და ასეთ ვაი-ვაგლახით მოყვანილ საზრდოს ნახევარს მიართმევდენ მზა-მზარეულად კარებზე მუქთა მჭამელ ბატონს (აზნაურს) ის კი სცხოვრობდა უდარდელად, არხეინად, მთელ დროს ლხინსა და ქეიფში, გარყვნილებაში ატარებდა. ან რა უჭირდა, რისთვის შეიწუხებდა თავს, როდესაც გლეხები ყვედა კარგა მაგრად გამაგრული ეზელში. მას ყოველივე ყელთამდის ქონდა: ფული, სასმელი, საჭმელი, ტანსაცმელ-ფეხსაცმელი. გლეხები კი თვითონ რჩებოდენ მშიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველნი. ეს იყო სულ რამოდენიმე ათეული წლის წინად, დღეს კი, ხომ ვხედავთ რა დღე დააყენა ამ მუქთა ხორა თავად აზნაურობას საბჭოთა ხელისუფლებამ, იმ ხელისუფლებამ, რომლის სათავეში თვით ჩადგა მუშა და გლეხი. სხვა რომ არა იყოს რა, მარტო **ის გარემოება, რომ მათი მონა გლეხები დღეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეს ასრულებენ, მისი საჭე მაგრად უჭირავთ ხელში, მუშათა და გლეხთა ხელისუფლებაა,** ყოველივე ეს მძიმე ლოდათ აწევს გულზე თავად აზნაურობას, რომლის გადაბრუნებას ვერ შესძლებს ვერავითარი ძალა, ვერავითარი ილაჯ გაწყვეტილი მენშევიზმი და ბანდიტიზმი.

ყოველივე ეს კარგად უნდა ვიცოდეთ თითოეულმა გლეხმა და მტკიცეთ ვიდგეთ ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე. ეს ასეც არის და იქნება კიდეც.

მაშ, გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას!

გაუმარჯოს ოქტომბრის მონაპოვარს გლეხების სამუდამოდ განთავისუფლებას!

ძირს საზიზღარი მენშევიზმი!

ძირს თავად-აზნაურობა და სამღვდელოება, რომელიც ყოველ ღონისძიებას ხმარობს დაკარგულ [illegible] აღსადგენად.

გლეხი **კოტე ლორეშელი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადიო-დეპეშები

ამერიკელი მაკიაველი

იუზის დეკლარაცია საბჭოთა კავშირის შესახებ

ნიუ-იორკი, 10 სექ. საარჩევნო კამპანიის გამო ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სტატს სეკრეტარმა იუზმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელიც წარმოადგენს ამერიკის საგარეო პოლიტიკის მიმოხილვას 1921 წლის მარტიდან.

საბჭოთა კავშირის შესახებ იუზი განაცხადა:

„1921 წ. რუსეთის ეკონომიური კრიზისის დროს საბჭოთა მთავრობამ მოგვმართა ჩვენ დეპეშით, რომელიც შეიცავდა ფორმალურ წინადადებას შეერთებულ შტატებში სპეციალურ დელეგაციის გაგზავნის შესახებ ორივე სახელმწიფოებს შორის სავაჭრო ურთიერთობის დასამყარებლად.

ეკონომიურ ნგრევას რუსეთში შედეგად მოჰყვა სიმშილობა. იმის დასამტკიცებლად, რომ ამერიკის მთავრობა და ხალხი მზად არიან დახმარება გაუწიონ რუსეთს, ამერიკის მთავრობამ გაუგზავნა პასუხი საბჭოთა მთავრობას. ჩვენ დახმარება აღმოვუჩინეთ რუსეთს. 21 წლის განმავლობაში „არა“-მ გაგზავნა რუსეთში 6 მილიონ დოლარის სურსათ-სანოვაგე.

ამერიკის მთავრობის მეგობრული დამოკიდებულება რუსეთის ხალხისადმი გამოიხატა აგრეთვე იმაში, რომ ამერიკა პატივისცემით ეპყრობოდა რუსეთის ინტერესებს და იცავდა მას შეიარაღების შემცირების კონფერენციაზე ამერიკის იმ მისიის ინსტრუქციებში, რომელიც მონაწილეობას იღებდა შორეულ-აღმოსავლეთის კონფერენციაზე, აღნიშნული იყო, რომ მიუხედავად იმისა რომ ჩვენ მიერ არ იყო ცნობილი რუსეთის მთავრობა, რუსეთის ინტერესების დაცვა უნდა შეადგენდეს მთელი კონფერენციის ზნეობრივ მოვალეობას. თუმცა კონფერენციაზე არ ყოფილან რუსეთის წარმომადგენლები, მაგრამ ყველა იქ მიღებული გადაწყვეტილებანი სრულიადაც არ არღვევს რუსეთის მოქალაქეთა კანონიერ ინტერესებს.

ამერიკის მთავრობამ ხელახლა გაუსვა ხაზი თავის დამოკიდებულებას რუსეთის ხალხისადმი გენუას კონფერენციაზე.

საბჭოთა მთავრობასთან ოფიციალურ ურთიერთობის დამყარების შესახებ იუზმა განაცხადა, რომ ამერიკის მთავრობის პოზიცია ამ საკითხში დიდი ხანია ცნობილია და მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოთა კავშირის ცნობა შეუძლებელია, რადგან იუზის სიტყვით, საბჭოთა მთავრობის მიზანია მთელ მსოფლიოში არსებული მთავრობების დამხობა და ყველგან კომუნისტურ წესწყობილების დამყარება.

ჯერ კიდევ ჰარდინგმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი რთულდება საბჭოთა წესწყობილების თავისებურებით.

შემდეგ იუზი მიუთითებს პრეზიდენტ კულიჯის მიმართვაზე კონგრესადმი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ამერიკის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობას ხელს უშლის საბჭოთა მთავრობის უარი იცნოს რუსეთის ძველი მთავრობების ვალდებულებანი, აგრეთვე აუნაზღაუროს ამერიკის მოქალაქეებს რუსეთის რევოლიუციის დროს მიყენებული ზარალი.

„ჩიჩერინისადმი გაგზავნილ დეპეშაში,—აცხადებს იუზი—ამერიკის მთავრობა აღნიშნავდა, რომ ამერიკის მთავრობა არ გამართავს მოლაპარაკებას მანამ, სანამ საბჭოთა მთავრობა არ გააუქმებს დეკრეტებს ვალების გაუქმების შესახებ და არ შესწყვეტს აგიტაციას შეერთებულ შტატებში არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ“.

იუზის აზრით, საბჭოთა მთავრობა და კომინტერნი ერთი და იგივეა. ისინი ხელმძღვანელობენ ამერიკის კომუნისტურ პარტიას და ამგვარად ერევიან შეერთებულ შტატების შინაურ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამერიკის კომპარტიის და „უორკერს პარტი“-ს გამანადგურებელი მოქმედება—სთქვა იუზმა, გამომდინარეობს მათთვის მოსკოვში შემუშავებულ პროგრამიდან.

ეხება რა ახლო-აღმოსავლეთის საკითხს, იუზი მხარს უჭერს ოსმალეთთან ურთიერთობის განახლებას. ეკამათება რა ოსმალეთთან ურთიერთობის აღდგენის მოწინააღმდეგეთ იუზი ამბობს:

„უცნაური იქნებოდა, თუ ამერიკა უარს იტყოდა დღევანდელ ოსმალეთთან ურთიერთობის დამყარებაზე, მაშინ როდესაც ის სცნობდა სულთანს აბდულ-გამიდს და მიუხედავად სომხების ხოცვა-ჟლეტისა, განაგრძობდა მასთან ურთიერთობის დაჭერას.

იუზი აღიარებს, რომ ასეთივე მოსაზრებების მოყვანა შეიძლებოდა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების სასარგებლოდაც, და აღნიშნავს არსებით განსხვავებას ოსმალეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. საბჭოთა მთავრობას არასოდეს არ განუზრახავს შეესრულებია თავისი ვალდებულებანი და არასოდეს არ უფიქრია შესულიყო როგორც თანასწორი წევრი ხალხთა საერთო ოჯახში. ოსმალეთის მთავრობა სავსებით ნაციონალურია, მაშინ როდესაც საბჭოთა რეჟიმი დამყარებულია ინტერნაციონალის პრინციპზე. ოსმალეთის მთავრობას არასოდეს არ ჩამოურთმევია საკუთრება ამერიკელ მოქალაქეთათვის აუნაზღაურებლად და არასოდეს უარი არ უთქვამს თავის ფინანსიურ ვალდებულებებზე შეერთებულ შტატების წინაშე. ოსმალეთი პატივს სცემდა ამერიკის სახელმწიფოებრივ უფლებებს, და არ უფიქრია მოეწყო ამერიკაში შეთქმულება არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ წესწყობილების წინააღმდეგ მსოფლიო რევოლიუციის ინტერესების სასარგებლოთ“.

რა ხდება ჩინეთში

უკანასკნელი ცნობები

ლონდონი, 11 სექ. პეკინიდან მიღებული ცნობით, ჩე-კიანგის პროვინციის არმიამ გამოაცხადა ამ პროვინციის დამოუკიდებლობა.

ბრძოლა გრძელდება შანხაის მახლობელ ადგილებში. საფრანგეთის კონცესიებს შანხაიში იცავენ უცხოელი ჯარისკაცები და სადესანტო რაზმები.

პარიზი. 11 სექტ. კიან-სუს პროვინციის არმიამ ბრწყინვალედ გაიმარჯვა. მაგრამ მისი შემდეგი იერიში შეჩერებულ იქნა ჩე-კიანგის პროვინციის ჯარების სასტიკი წინააღმდეგობით. ამ ჟამად ბრძოლა სწარმოებს შანხაიდან 13 კილომეტრის მანძილზე. თვით შანხაიში ჯერ სრული წესრიგია, მიუხედავად იმისა, რომ განუწყვეტლივ მოდიან ლტოლვილები.

იმპერიალისტების წინააღმდეგ

ჩინეთის მეზღვაურთა კავშირის მდივნის განცხადება

მოსკოვი. 11 სექტ. ჩინეთის მეზღვაურთა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა ლამ-ვაი-მანმა, რომელიც ამ ჟამათ ეცნობა რუსეთის სატრანსპორტო მუშათა მდგომარეობას, „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

უცხოეთის იმპერიალისტები და, განსაკუთრებით, ამერიკელნი მთელი თავისი ძალღონით უჭერენ მხარს ჩრდილოეთ ჩინეთის მთავრობას, რადგან მასში ხედავენ სუნ-იატ-სენის ნაციონალ-რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ მებრძოლ ძალას. ჩინეთის მუშათა მასსა მიჰყვება გომინდანის პარტიას, რომელიც მტკიცეთ იცავს ჩინეთის დამოუკიდებლობას. ჩინეთის მშრომელი მასსა სავსებით სუნ-იატ-სენის მხარეზეა. მოძრაობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ჩინეთში სულ უფრო ფართოვდება. ჩინეთში უკვე არავის სჯერა ბურჟუაზიულ მთავრობათა დიპლომატიურ ნოტების. საბჭოთა კავშირში დაარსებულ საზოგადოების „ხელი შორს ჩინეთისაგან“-ის ამბავი თანაგრძნობას გამოიწვევს ჩინეთის ყველა კუთხეებში და გაამაგრებს ორივე ქვეყნის მშრომელთა კავშირს“.

ლამ-ვაი-მანმა აღნიშნა, რომ ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ჩარევა ჩინეთის საქმეებში გამოწვეული იყო რუსეთ-ჩინეთის ხელშეკრულების დადებით. ამ ხელშეკრულებამ პირველად მისცა ჩინეთს საშუალება წარმოედგინა, რომ მას შეიძლება მოექცეს, როგორც თანასწორ უფლებიან მხარეს.

განხეთქილება ინგლისის პროფმოძრაობაში

ამსტერდამის ინტერნაციონალის დეკლარაცია

ლონდონი, 10 სექტ. „დეილი გერალდ“-ში გამოქვეყნებულია ამსტერდამის ინტერნაციონალის დეკლარაცია ინგლისის პროფესსიონალურ მოძრაობაში ოპოზიციონურ უმცირესობის ორგანიზაციის შესახებ. დეკლარაციაში ნათქვამია:

„ოპოზიციონურ უმცირესობის ორგანიზაცია, ე. ი. ინგლისის ტრედ-იუნიონულ მოძრაობაში განხეთქილების შეტანის ცდა მოხდენილია ჩვენ მოსკოველ მეგობრებისა და მათ თანამგრძნობთა მიერ, რომლებიც ყველაზე თავგამეტებით ესარჩლებოდნენ ერთიანი ფრონტის იდეას.

დაამთავრა რა თავისი „საბედისწერო“ მუშაობა საფრანგეთში, იტალიაში, ჩეხო-სლოვაკიასა და მთელ რიგ სხვა ქვეყნებში, მოსკოვმა როგორც ჩანს გადასწყვიტა ასეთივე მუშაობა დაიწყოს ინგლისის პროფესსიონალ მოძრაობაში. ინგლისის მუშები და მათი მეთაურნი გაკვირდებიან, როდესაც გაიგებენ, რომ კონფერენციის უმცირესობის პროგრამა დაწვრილებით იყო გამომუშავებული მოსკოვში ჯერ კიდევ ივლისში.

შემდეგ დეკლარაციას მოჰყავს რამოდენიმე ადგილი „წითელ პროფკავშირთა ბიულეტენიდან“, რომელშიაც მოთავსებულია ტომას მანისა და კალინინის მიერ პროფინტერნის მოსკოვის კონგრესზე 15 ივლისს წარმოთქმული სიტყვები კონფერენციის უმცირესობის პროგრამის შესახებ. „პროგრამის მეშვიდე პუნქტში, ნათქვამია დეკლარაციაში, —გათვალისწინებული იყო „მჭიდრო კავშირის დაჭერა“ ინგლისის კომპარტიასთან. ყოველ შემთხვევაში ძლიერ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ იმ დროს როდესაც კომუნისტები დაჟინებით მოითხოვენ პროფმოძრაობის გაერთიანებას და როდესაც მოსკოვსა და ამსტერდამს შორის დაიწყო ამის შესახებ მიწერ-მოწერა, პროფინტერნი აწყობს უმცირესობის ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია მხოლოდ მოსპოს ინგლისის პროფმოძრაობის მთლიანობა.

აქამდე ინგლისი წარმოადგენდა ერთად-ერთ ქვეყანას, სადაც პროფესსიონალური მოძრაობა მთლიანი იყო. სწორეთ ამის გამო შესძლო ინგლისის ტრედ-იუნიონულმა მოძრაობამ იმ დიდი გამარჯვებების მოპოვებამ, რომლებსაც ჩვენ ეხლა ვხედავთ. როგორც ჩანს რუსი ამხანაგები და მათი მეგობრები ამაყობენ მათ მიერ დაწყებულ მუშაობით“.

დღეს ინგლისის პროფკავშირთა ოპოზიციონური უმცირესობა გამოაქვეყნებს თავის პასუხს ამსტერდამის დეკლარაციაზე.

„ფორვერტს“-ის აზრი ჰულის კონგრესის შესახებ.

ბერლინი. 10 სექტ. სოციალ-შეთანხმებელთა გაზ. „ფორვერტს“-ი აღნიშნავს იმ ენტუზიაზმს, რომლითაც კონგრესმა შეხვდა საბჭოთა პროფკავშირების წარმომადგენლებს. გაზეთი ცდილობს „ინგლისის მუშათა კლასის ეს ბოლშევიკური სიმპატიები“ ახსნას მით, რომ თითქოს ბრიტანელი მუშები რუსეთის პროფკავშირთა წარმომადგენლების სახით მიესალმენ მხოლოდ ცარიზმის დამხობის სიმბოლოს.

ესპანელები მაროკოში

ნაუენი. 11 სექტ. პარიზის „სუარ“-ის ცნობით, **მაროკოში კრიტიკულ მდგომარეობაშია ესპანეთის ჯარი, რომელიც შესდგება 60.000 კაცისაგან ან გადარეკენ ზღვაში, ან ალყას შემოარტყმენ კაბილები. უკანასკნელ შემთხვევაში ისინი აუცილებლად უნდა ჩაბარდნენ მოწინააღმდეგეს.** ამ ჟამად სამხედრო ოპერაციების ცენტრი გახდა ტეტუანი: მოქალაქეებმა მიიღეს ბრძანება, რათა დასცალონ ქალაქი.

ადგილობრივ მცხოვრებთა განცხადებით, მათი ოპერაციების მთავარი მიზანია მაროკოში ესპანელების სამფლობელოს განსაზღვრა ცეუტით და მელილით.

პარიზი. 2 სექტ. მადრიდიდან მიღებული ცნობით, რორრანის რაზმმა, რომელიც იბრძოდა ლოს ხეოზაში, უკან დაიხია კომადარზისაკენ. დამოკიდებულება ტეტუანსა და ტანჟერს შორის ნაწილობრივ გაუმჯობესდა.

ტეტუანიდან მიღებული ცნობით, გენერალი პრიმა-დე-რივერა თავისი შტაბით დარჩება მაროკოში კამპანიის შემდეგი გეგმის შემუშავებამდე.

ნაუენი. 11 სექ. ლონდონიდან მიღებული ცნობით ტანჟერში გავრცელდა ხმები, რომ ესპანელებს განზრახული აქვთ დასდონ აბდულ-ქერიმთან საზავო ხელშეკრულება და დანიშნონ ის ესპანეთის ზონის გენერალ-გუბერნატორად ცეუტის და მელილი გარდა.

რომი. 11 სექტ. მადრიდან მიღებული ცნობით, **ესპანეთის ჯარებმა დასტოვეს თავისი პოზიციები სტაცთან.** ამავე ცნობა მიუთითებს დირექტორიის გეგმის უშედეგობაზე.

პარტიული ცხოვრება

სააგიტაციო-საპროპაგანდო ძალების აღრიცხვის შესახებ

ყველა რაიკომებს, იაჩეიკების მდივნებს, საქ. კომპ. თბილისის ორგანიზაციის ყველა წევრებს

ძვირფასო ამხანაგებო!

მზადებას მასიურ პარტიულ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის მომავალ ზამთარში ელავე უნდა მიაქციოს ყურადღება თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ.

ამ წლის დიდმა გამოცდილებამ ედიდეს პარტიულ მასის, უმთავრესად პარტიაში ახლად მიღებულ წევრების აღზრდის საქმეში, პირველად იმდინარე წელს მკვეთრად დააყენა საკითხი მუშაობაში პარტიის ახალ ძალების ფართოდ ჩაბმის შესახებ როგორც ხელმძღვანელებად, ჯგუფების ხელმძღვანელებათ, სკოლებსა და პოლიტ-ცოდნის წრეებში ლექტორებად.

ნაჩქარევად, შინაურულად, პარტკომიტეტებმა შეეცადნენ გაეტარებიათ პარტიული აქტივის მასიური აღრიცხვა და გადაჯგუფება, რომელიც შემდეგ გაგზავნილი იყო პარტიის ახალ წევრებს შორის სამუშაოთ.

მომავალი წელი, როდესაც უნდა მოეწყოს პარტიის ძველ და ახალ წევრების, ახალგაზრდობის კავშირის წევრების და უპარტიო მუშათა და გლეხთა პარტიული სწავლების საქმე, რომელიც კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს და გაღრმავდეს, აყენებს საკითხს იმის შესახებ, საჭიროა ზედმიწევნით იქნას შერჩეული არა მარტო ლექტორების, არამედ ჯგუფების ხელმძღვანელთა და წრეების და სკოლების ორგანიზატორთა კადრი. შარშანდელ პარტ-მუშაკების, პოლიტ-უცოდინარობის ლიკვიდატორების კადრი არ აღმოჩნდა საკმაო.

ყველაფერი ეს მოითხოვს თბილისის ორგანიზაციის ყველა იაჩეიკების წარმადგენლობის გადასინჯვას იმ მიზნით, რათა აღრიცხულ იქნან ყველა [illegible] ძალები, რომლებიც გამოსადეგი იქნებიან პარტიულ-აღმზრდელობითი, საგიტაციო და კულტურული მუშაობისათვის.

თბილისის კომიტეტი რაიკომების და იაჩეიკების მდივნების საშვალებით ამჟამად იწყებს იაჩეიკების საგიტ.-პროპაგანდო ძალების აღრიცხვის კამპანიის ჩატარებას, იმ ვარაუდით, რათა ეს მუშაობა დასრულდეს ა. წ. 25 სექტემბრისათვის, ე. ი. როდესაც დაიწყება პარტიულ-აღმზრდელობითი პრაქტიკული მუშაობა.

ხელახალი აღრიცხვა იმგვარად უნდა იქნეს დაყენებული, რომ გამოირკვეს პარტიული ძალები ამ მუშაობაში ჩასაბმელად და ორგანიზაციის საგიტ-პროპაგანდო ძალები განაწილებულ იქნენ რამდენადაც შეიძლება უფრო რაციონალურათ.

აღრიცხვაზე უნდა აყვანილ იქნენ არა მარტო კვალიფიციური აგიტატორ-პროპაგანდისტები, არამედ აგრეთვე ის ამხანაგებიც, რომლებიც შეიძლება, გამოყენებულ იქნენ სკოლებსა და წრეებში როგორც ლექტორებისა და ხელმძღვანელთა დამხმარენი ან რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნენ მომხსენებლებად პატარა კრებებზე. ყოველივე ეს შესაძლებელია მხოლოდ უჯრედების აქტიურ მონაწილეობით აღრიცხვაში. საგიტაციო-საპროპაგანდო ძალების აღრიცხვა ჩატარდება თბილისის კომიტეტის განსაკუთრებულ კომისიების საშუალებით.

პარტიის ყველა წევრთა ამოცანას შეადგენს ამ მუშაობისთვის ყოველმხრივი აქტიური ხელის შეწყობა. საჭიროა უჯრედებისა და კომისიების მდივანთა მუშაობის შეთანხმება. ამასთანავე მნიშვნელოვანია არა მარტო ფორმალური რეგისტრაცია, არამედ აგრეთვე ამომწურავი ცნობების მიწოდება კომისიისათვის ყოველ მუშაკის შესახებ. მხოლოთ ამ პირობით არის შესაძლებელი ყოველ ამხანაგის მიზანშეწონილი გამოყენება მისი მომზადებისა და კვალიფიკაციის მიხედვით.

უჯრედების მდივნებმა უნდა შეადგინონ თავიანთ უჯრედებში სრული სია იმ ამხანაგების, რომლებიც შეიძლება მოწვეულ იქნენ საგიტ-პროპაგანდო მუშაობისათვის, და გადასცენ კომისიას საჭირო ცნობები მათ შესახებ.

უჯრედების საერთო კრებებზე საჭიროა გაირჩეს საგიტ.-პროპაგანდო ძალთა ხელ-ახალ აღრიცხვის საკითხი და დაევალოს ამ მუშაობისათვის ყოველ გამოსადეგ ამხანაგს გაგზავნოს უჯრედის მდივნის საშუალებით სათანადო ანკეტა თბილისის კომიტეტში.

აღრიცხავენ რა ყველა ძალებს, კომისიები შესძლებენ ყველა მუშაკების მიზანშეწონილი განწესრიგებას, რითაც უზრუნველყოფილი იქნება პოლიტაღმზრდელობის ნორმალური განვითარება ზამთარში.

თბილისის კომიტეტის მდივნის მაგიერ გოლდბაუმი.

თბ. კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ხაცკევიჩი.

თბ. კ-ის საგიტ.-საპროპ. განყ. გამგე პენიაკოვი.

შეფები და განმარტების კამპანია ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ.

საგადასახადო კამპანიის წარმატებით ჩატარება დამოკიდებულია გლეხ-მცხოვრებლებისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდებაზე ყველა იმ საკითხების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია გადასახადთან (გადასახადის რაოდენობა, გადახდის ვადა, შეღავათების მიცემა და სხვ.) და აგრეთვე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოეკიდებიან ამ მუშაობას ის პირნი და ორგანოები, რომლებიც პრაქტიკულად ატარებენ კამპანიას ადგილებზე. საგადასახადო საკითხების გაშუქების საქმეში შეფებს შეუძლიათ გაუწიონ არსებითი დახმარება ადგილობრივ პარტორგანიზაციებს, რამდენადაც მათ მოასწრეს უშუალო კავშირის დაჭერა მათ შეფობია ქვეშ მყოფ სოფლების და რაიონების ფართო მასებთან.

ამისდა მიხედვით, საშეფო ორგანიზაციები დაწყებულ საგადასახადო კამპანიაში ისახავენ შემდეგ კონკრეტულ ამოცანას.

1. აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად საშეფო სოფლებსა და რაიონებში ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ განმარტების კამპანიის ჩატარებაში და იაჩეიკასთან ერთად უნდა ინახულონ რაიონის ყველა სოფლები.

ამისათვის შეფები

ა) ელავე გამოჰყოფენ იაჩეიკის წევრთა ჯგუფს, რომელსაც უნდა მიენდოს სოფლად განმარტების კამპანიის ჩატარება, ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ; ამ მუშაობისათვის იაჩეიკა გამოჰყოფს ყველაზე აქტიურ, სოფლის მცოდნე და საქმისათვის გამოსადეგ წევრებს.

ბ) გამოყოფილი ჯგუფი 3—4 დღის განმავლობაში გულდასმით ეცნობა მასალებს ერთიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ და ამასთავავე ხელმძღვანელობს დაბეჭდილ მასალებით.

2) საშეფო ორგანიზაციებს დახმარებას უწევენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები კამპანიის ჩატარებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხების გადაჭრის საქმეში.

კამპანიის დამთავრების შემდეგ ყველა საშეფო იაჩეიკები რაიკომს აძლევენ ვრცელ ანგარიშს კამპანიაში თავის მონაწილეობის და იმ მომენტების შესახებ, რომელსაც ამ დროს ჰქონდა ადგილი.

გადასახადის აკრეფა დაიწყება ოქტომბრიდან.

გ) თბ. კომიტ. მდივანი გოლდბაუმი.

თბ. კომიტ. საგიტ. საპროპ. განყ. გამგე პენიაკოვი.

ახალგაზრდათა მეათე საერთაშორისო დღე

წელს 14 სექტემბერი საქართველოში პროლეტარული ახალგაზრდობის საერთაშორისო დემონსტრაციის, მისი სოლიდარული ბრძოლის დღეა.

ამ დღის წარმოშობა მჭიდროთ დაკავშირებული ახალგაზრდათა მოძრაობის ისტორიის სხვადასხვა ეტაპებთან. დღეს ვინ არ იცის, რომ მუშათა ახალგაზრდობა მთელს მსოფლიოში გაერთიანებულია ერთი დროშის ქვეშ, ახალგაზრდათა ინტერნაციონალი თავის რიგებში აერთიანებს მთელი მსოფლიოს პროლეტარული ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილს: დღეს კომინტერნის გვერდით არსებობს ახალგაზრდათა კომინტერნი, რომელიც იბრძვის მუშათა კლასის და მსოფლიო კომუნისტური პარტიის მიერ ნაჩვენები გზით. ახალგაზრდათა ინტერნაციონალის ყველა სექციები ახალგაზრდათა საერთაშორისო დღეს დემონსტრაციებით და მანიფესტაციებით მიმოივლის ევროპის ქუჩებს და როგორც გრგვინვა ახალი იერიშით მიეხეთქება მსოფლიო კაპიტალს.

ანტიმილიტარიზმი—ბრძოლა შეიარაღების და იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ—აი, ღერძი, რომლის გარშემო შემობრუნდა ახალგაზრდათა მოძრაობა მეოცე საუკუნეში.

ანტიმილიტარიზმი—არის აგრეთვე ძირითადი პუნქტი, რომელიც ახალგაზრდათა მოძრაობის საერთაშორისო ფორმას ქმნის და აყალიბებს ახალგაზრდათა ინტერნაციონალს.

დღემდე ეს საკითხი ახალგაზრდათა მოძრაობის ყურადღების ცენტრში სდგას და იდგომება კიდევ რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში. ანტიმილიტარისტული პოლიტიკის საკითხები გაირჩა ახალგაზრდათა ინტერნაციონალის თითქმის ყველა კონგრესებზე, სადაც კეთდებოდა ანალიზი, საერთაშორისო ეკონომიკის და მასთან დაკავშირებით ჩვენი ანტიმილიტარისტული პოლიტიკაც მუშავდებოდა.

მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლამ გამოიწვია ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის საჭიროებაც.

ახალგაზრდათა ინტერნაციონალმა ომის წინ და ომის განმავლობაში გაიარა თითქმის ისეთივე ეტაპები, როგორც მეორე ინტერნაციონალმა.

მსოფლიო ომამდე ახალგაზრდათა ინტერნაციონალის სამი კონგრესი მოხდა (1907—1910—1912 წ.) სამივე კონგრესის სიტყვა მილიტარიზმის შესახებ მტკიცე და ერთსულოვანი იყო. ისინი აღიარებდენ მილიტარიზმს ფინანსიური კაპიტალის პოლიტიკათ, ხედავდენ მასში კაპიტალის საშინელ იმპერიალისტურ მისწრაფებას, რომელიც დამყარებული იყო საკუთარი ჯიბის გამდიდრების პრინციპზე.

კონგრესები ხმა მაღლა, მთელი მსოფლიოს საყურადღებოთ აცხადებდენ ბრძოლას საყოველთაო შეიარაღების წინააღმდეგ, მოითხოვდენ ყველა კავშირების დარაზმვას მოსალოდნელი ომის წინააღმდეგ და აქეთკენ მოუწოდებდენ მსოფლიო პროლეტარულ ახალგაზრდობის ფართო მასებს.

მაგრამ როდესაც ომი ფაქტათ იქცა, ახალგაზრდათა ინტერნაციონალის მწვერვალებში, მის ხელმძღვანელ წრეებში თავი იჩინა ოპორტიუნიზმმა, მგზავსათ მეორე ინტერნაციონალისა. ინტერნაციონალში [illegible] ორგანიზაციების თითქმის ნახევარის მიერ ჩადენილი იქნა სამარცხვინო ინტერნაციონალური [illegible] იმპერიალისტური ომისადმი მხარის დაჭერის სახით.

ახალგაზრდათა ინტერნაციონალში ომის დროს თანდათან [illegible]. თუმცა ოპორტიუნისტულ გადაგვარებას მასში არ ჰქონია ისეთი ფართო ხასიათი, როგორც მეორე ინტერნაციონალში, მაგრამ მის დასუსტებას ხელს უწყობდა განსაკუთრებული ფაქტი, რომ თითქმის მთელი ორგანიზაციების ნახევარი გაწვეული იქნა ჯარში, გაფანტული იქნა სხვა და სხვა ფრონტებზე და ეს ხდებოდა ისეთი სიჩქარით, რომ ახალგაზრდათა კავშირებმა ვერც კი მოასწრეს ამ ხანისათვის შესაფერი ტაქტიკის გამომუშავება.

კრიზისი ახალგაზრდათა ინტერნაციონალში თანდათან ვითარდება და ანტიმილიტარისტული ბრძოლის ჯანი ლამის უნდა ჩამქრალიყო, რომ ამ დროს არ გამოჩენილიყო ბერნის მსოფლიო საყვირი.

ბერნში 1915 წელს მოწვეული იქნა ახალგაზრდათა ინტერნაციონალის მემარცხენე ორგანიზაციების კონგრესი, აქ თავს იყრიდა ახ. ინტერნაციონალის არმიის თითქის ნახევარი, მისი საუკეთესო და ცოცხალი ნაწილი.

ბერნის კონგრესი მრავალმხრივაა საყურადღებო. აქ ხდება ომის დროს დაქსაქსული ორგანიზაციების აღდგენა, მტკიცე ტაქტიკის შემუშავება იმპერიალისტური ომთან დამოკიდებულების საკითხში და აქვე ეყრება საფუძველი ახალგაზრდობის საერთაშორისო დემონსტრაციის დღეს.

ბერნის კონგრესი ილაშქრებს ომის წინააღმდეგ, ამტკიცებს ამ საკითხზე ძველი კონგრესის დადგენილებას და აყენებს საერთაშორისო ზავის ლოზუნგს. იმპერიალისტურ ომის დროს ასეთი ლოზუნგის გამოყენება შეცდომათ უნდა ჩაითვალოს. საჭირო იყო იმპერიალისტური ომიდან სამოქალაქო ომზე გადასვლა. ამხ. ლენინის და ბოლშევიზმის მაშინდელი ტაქტიკა გამოიხატებოდა ლოზუნგში „ომი—ომს“. ბერნის კონგრესი იმ ხანებში ვერ იცნობდა ამხ. ლენინის შეხედულებას ამ საკითხზე, რის გამოც ჩადენილი იქნა ეს შეცდომა, მაგრამ ის გამოსწორდა 1917 წელში ზავის ლოზუნგი შეცვლილ იქნა ლოზუნგით „ომი—ომს“.

განსაკუთრებული სიმკაცრით ბერნის კონგრესი ილაშქრებს იმ სოციალისტების წინააღმდეგ, რომელთაც ფეხ-ქვეშ გათელეს წინანდელი დადგენილებანი ომის შესახებ და გადაიქცენ თავიანთი ქვეყნის სოციალ-პატრიოტებათ, საკუთარი იმპერიალისტური ბურჟუაზიის [illegible] ლაქიებათ. ასეთივე აზრი გამოთქვა ახალგაზრდათა ინტერნაციონალის ოპორტიუნისტული ბელადების შიმართ. ბერნის კონგრესი მოუწოდებს მუშათა ახალგაზრდობას დარაზმვისაკენ ომის წინააღმდეგ.

ყოველწლიურათ ახალ-ახალ ტალღა ასკდება ორ ფრონტს, ორ ჯერ კიდევ მტკიცე კედელს—იმპერიალიზმს და სოციალისტურ ოპორტიუნიზმს. ყოველწლიურათ სუსტდება ჩვენი მოწინააღმდეგეების ძალები, ყოველწლიურათ იზრდება მუშათა ახალგაზრდობა, კაჟდება, მტკიცდება თავისი ისტორიული მოწოდების გარშემო.

მენშევიკური ავანტიურა

ამხ. მ. კახიანის მოხსენება არსენალის რაიონში 8 სექტემბერს*)

აჯანყება თუ ავანტიურა

რომ ეს აჯანყება არ ყოფილა, მტკიცდება იმით, რომ მენშევიკებს შეიარაღებული აჯანყებისათვის არ ჰქონიათ საჭირო პოლიტიკური წინასწარი პირობები. როცა ჩვენ გამოვედით ოქტომბერში, ეს იყო ნამდვილი აჯანყება, რადგან ბოლშევიკებმა მოამზადეს აჯანყებისათვის სათანადო ნიადაგი.

ისინი ეყრდნობოდენ მუშათა და გლეხთა მასების თანაგრძნობას. თუ ავიღებთ ოქტომბრის რევოლიუციას და შევადარებთ უკანასკნელ დღეებში საქართველოში მომხდარი კარიკატურულ „აჯანყებას“, მივიღებთ სულ სხვადასხვა შედეგებს. როგორც ოქტომბრის აჯანყება გრძელდებოდა დაახლოებით ერთი კვირა, ისე „საყოველთაო-სახალხო აჯანყება“ — ეს სამარცხვინო ავანტიურაც გრძელდებოდა ერთი კვირა, მაგრამ შედეგები ოდნავ სხვადასხვაგვარია. ამხანაგი ტროცკი „იზვესტია“-ში გამოქვეყნებულ უკანასკნელ წერილებში სამოქალაქო ომის საკითხების შესახებ სწერს შემდეგს: „შეიარაღებული აჯანყების წარმატებისათვის პოლიტიკურ წინამძღვრებად, უპირველესად ყოვლისა, ჩაითვლის ქვეყნის გადამწყვეტ პუნქტებში და ოლქებში მებრძოლი ავანგარდის მომხრეობა და სახელმწიფო ხელისუფლების შერყეულ მდგომარეობა. გარდა ამისა „საჭიროა მმართველი კლასის დაბნეულობა, ჯარების დემორალიზაცია და სარეპრესიო აპარატის შესუსტება“. არც ერთი ეს პირობა არ ჰქონიათ მენშევიკ ავანტიურისტებს, როდესაც ისინი ამ საშინელ ავანტიურას შეუდგნენ. მშრომელთა ავანგარდით მენშევიკები არ გამოდგებოდენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მენშევიკურ პარტიაში მყოფი მუშები და გლეხები რიცხვი 20 ათასი გამოვიდენ პარტიიდან და ზურგი აქციეს მას. ამ თვალსაზრისით მენშევიკური პარტია თავის სოციალური შემადგენლობით სავსებით გადაგვარდა. რაც შეეხება გადამწყვეტ პუნქტებში მომხრეობას, სწორედ ისეთ მუშურ ცენტრებში, როგორიც არის ბათომი, თბილისი, ფოთი, მათ მომხრეები არ აღმოჩნდათ. პირიქით, რომ გაებედათ გამოსვლა, უკუქცეულნი იქნებოდენ მკაცრი ორგანიზაციული შეტევით. და არც შეეძლოთ გაებედათ გამოსვლა მუშათა კლასის ცენტრებში, რადგან მშვენივრად იცოდენ, მუშათა დამოკიდებულება ამ სამარცხვინო პარტიისადმი.

მათ არ ჰქონიათ არც ის პირობა, რომ ეგრძნოთ სახელმწიფო ორგანოთა შერყეული მდგომარეობა ან ჩვენი სარეპრესიო ორგანოების შესუსტება. პირიქით, „ჩეკა“ დიდებულად მოქმედებდა. მენშევიკებმა საზღვარგარეთ გაგზავნეს ინფორმაცია, რომ მათი საქმე საუცხოოდ კეთდება და ამით ატყუებდენ ევროპას და თავის საყვარელ ჟორდანიას. ისინი ჰფიქრობდენ, რომ მათი ორგანიზაციული დარაზმვა სავსებით საკმაო იქნებოდა, მაგრამ „ჩეკას“ გამოსვლა უფრო უკეთ ორგანიზაციულად მოწყობილი გამოდგა.

ჩვენმა „ჩეკამ“ შემუსრა მენშევიკების ცეკა და პარიტეტული კომიტეტი დააპატიმრა ისინი და ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ ისინი ან ცივ მიწაში განისვენებენ, ან სხედან „ჩეკას“ კედლებში გამომწყვდეულნი. მენშევიკების ცეკას უკანასკნელი წევრი დ. ონიაშვილიც დღეს დაპატიმრებულ იქნა და იმყოფება „ჩეკას“ წიაღში. არავითარი პარიტეტული კომიტეტი და მენშევიკური ცეკა დღეს უკვე აღარ არსებობს. ეს ფაქტები უკვე ლაპარაკებენ იმის შესახებ, რომ შეუძლებელია აჯანყება ასეთ პირობებში, რადგან, ცხადია, „ჩეკამ“ წინასწარ მიიღო ზომები და სათითაოდ დააპატიმრა ამ ორგანიზაციათა ყველა წევრები.

რაც შეეხება ჯარების დემორალიზაციას, აჯანყებისთვის ეს არა ნაკლები მნიშვნელოვანი წინასწარი პირობაა. ავანტიურისტებს იმედი ჰქონდათ ქართული არმიის მომხრეობის. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ახალგაზრდა ქართული არმია არ გაილაშქრებდა მენშევიკების წინააღმდეგ.

მაგრამ, თავის გულის გასახეთქათ ისინი დარწმუნდნენ, რომ ჯერ ახალგაზრდა, ბრძოლის ცეცხლში გაუცდელმა ქართულმა დივიზიამ მშვენივრად ისახელა თავი იმით, რომ ყოველ მიმართულებით თავპირს ამტვრევდა მენშევიკებს (აპლოდისმენტები). დღეს ქართული დივიზია დაბრუნდა და თბილისის ქუჩებზე სადემონსტრაციოდ გამოაფინა თავისი სამხედრო ძლევამოსილება. საჭიროების ჟამს მან გაამართლა მუშურ-გლეხური საქართველოს დამცველის დიდი სახელი (აპლოდისმენტები).

ამ მძიმე დღეებში ჩვენ დავრწმუნდით, რომ ქართული დივიზია იცავს მხოლოდ და მხოლოდ მის მშობლიურ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას და ვერც ერთი თავად-აზნაური ვერ შესძლებს ძველი რეჟიმის უკან დაბრუნებას, რაც შეეხება რუსეთის წითელდროშოვან არმიას, იგი საჭირო იქნებოდა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, რადგან მენშევიკური ბანდის გასაფანტავათ საკმაო იყო მარტო ქართული ნაწილები. რუსული ნაწილები უწევდენ მხოლოდ საერთო ხელმძღვანელობას. აშკარაა, არც მშრომელთა აჯანყებულთათვის მომხრეობას, არც ჯარების დემორალიზაციას, არც მმართველი კლასის დაბნეულობას ადგილი არ ჰქონია. თუნდ ერთი ამ პირობათაგანი რომ დასდებოდა საფუძვლად მათ „აჯანყებას“, გამოსვლას შეიძლება რგებოდა მცირეოდენი წარმატება.

საინტერესოა აღინიშნოს აგრეთვე, თუ როგორ მოეკიდა მმართველი მუშათა კლასი ამ ავანტიურას. მუშებმა ბრწყინვალეთ დაიჭირეს ეგზამენი. ამ მშფოთვარე დღეებში მუშათა კლასი იდგა თავის პოზიციებზე—მუშათა ხელისუფლების სადარაჯოზე. თბილისში ყველა პარტიული ამხანაგები და აგრეთვე უპარტიოები იდგნენ იარაღით ხელში, რომ ორგანიზაციულად შეეტიათ ბანდიტებისათვის.

როგორც კომუნისტურმა პარტიამ, ისე ახ. კომ. კავშირის ლენინის დროშის ქვეშ გაწვეულებმა ბრწყინვალეთ დაიჭირეს ეგზამენი. განსაკუთრებით თავი ისახელეს ლენინის გაწვეულებმა, რომელნიც გაგზავნილ იქნენ პარტიულ ორგანიზაციების მიერ და რომელნიც ყველა მიმართულებით სცემდენ ბანდიტებს.

ბათომში გამოსვლის შესახებ ცნობების მიღებისთანავე, ყველა კავშირებმა გამოიტანეს დადგენილება ბანდიტების საწინააღმდეგოთ დარაზმვის შესახებ, და ყველა მუშებმა, როგორც ერთმა კაცმა, დახმარება აღმოუჩინა მებრძოლ ნაწილებს.

ბათომის მუშები პირველნი მიეშველნენ გურიას. მუშებს გარდა შეიარაღდენ აგრეთვე აჭარელი გლეხებიც.

იგივე მოხდა ფოთის რაიონშიც. პირველ დახმარებისთანავე, მუშები შეიარაღდენ და გაგზავნეს თავიანთი რაზმები ზუგდიდელ ამხანაგების დასახმარებლად და არ დაუშვეს გამოსვლები თვით ფოთში. ეს ამტკიცებს იმას, რომ მუშათა კლასი საქართველოში არ ყოფილა დაბნეული და მაშინვე შესწყვიტა ყოველგვარი გამოსვლები.

ამგვარად, როდესაც ჩვენ ვაყენებთ კითხვას—იყო თუ არა ეს აჯანყება, პასუხი ერთად-ერთია—ეს არ შეიძლება ჩაითვალოს აჯანყებათ, ვინაიდან არ ყოფილა არავითარი წინასწარი პირობები ამისათვის. ეს არის მხოლოდ მემამულეთა-თავად-აზნაურულ არამზადების უბრალო ავანტიურა მუშურ-გლეხური რეჟიმის წინააღმდეგ. მათ ხომ უნდა ეცადათ უკანასკნელად „გადაეწყვეტათ თავიანთი იარაღით“, რადგან უბრალო ლაყბობით მათ ვერაფრის გაკეთება ვერ შესძლეს.

ავანტიურამ გაანადგურა მენშევიკური პარტია

ამ ავანტიურამ საბოლოოდ გაანადგურა მენშევიკური პარტია. თუ რომელიმე პარტია მოისურვებდა თავის სასიკვდილო განაჩენზე ხელის მოწერას, თუ რომელიმე პარტია მოისურვებდა საბოლოოდ დაღუპულიყო მშრომელთა თვალში, იმას განგებ უნდა მოეწყო ასეთი გამმასხარავებელი აჯანყება.

ავანტიურა და ინტელიგენცია

მენშევიკური გამოსვლები დაიწყო სამარცხვინოდ და ასევე სამარცხვინოდ დასრულდა. აი ამიტომ ყველა მშრომელები ზიზღით უცქერიან ამ ავანტიურას, მისგან პირს იბრუნებს აგრეთვე ინტელიგენციაც. ინტელიგენცია ელოდებოდა იმას, რა მოხდებოდა—ვინ გაიმარჯვებდა, ვინაიდან ინტელიგენციის ჩვეულებაა დარჩეს იმათ მხარეზე, ვინც გაიმარჯვებს. და როდესაც მათ დაინახეს, რომ მუშების და გლეხების ხელები არ აკანკალებულა და დაუზოგავად უსწორდება ხალხის მტრებს, ის გამოვიდა და ლაპარაკობს, რომ ეს მართლაც სამარცხვინო ავანტიურაა. დღეს თქვენ ალბათ წაიკითხეთ ქართველ პროფესორების განცხადება, რომელიც ამას წინად მხარს უჭერდა სწორედ ამ მენშევიკებს და ნაციონალისტებს, რომლებსაც არც ისე „ძალიან“ უყვარს ბოლშევიკები. ის დღეს აცხადებს.

„ავანტიურისტული მახვილის შემოტანა საქართველოში გაუმართლებელ დანაშაულობად უნდა ჩაითვალოს ერის წინაშე და მომაკვდინებლად მისი სასიცოცხლო ინტერესებისათვის. უმაღლეს განათლების კერას და ქართულ კულტურის ბურჯს, სახელმწიფო უნივერსიტეტს არ შეეძლო უტყვი მოწმე იყოს იმ საშინელებათა, რომლებიც დაატრიალა საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგე და უპასუხისმგებლო ავანტიურამ, და თავისი მკაცრი საპროტესტო ხმა არ აღიმაღლოს იმათ წინააღმდეგ, რომელთაც დაკარგული ძალა-უფლების დასაბრუნებლად ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობა არ დაინდეს და ერი სახიფათო მდგომარეობაში ჩააყენეს“.

ხელს აწერენ საქართველოს ცნობილი პროფესორები.

სამარცხვინო ფინალი

ყველა ეს ფაქტები მოწმობს იმის შესახებ, თუ როგორ უცქერიან ამ ავანტიურას საზოგადოების ყველა ფენები. ამ სამარცხვინო ავანტიურას, როგორც ზემოთ ვსთქვი, ჰქონდა სამარცხვინო ფინალი პარიტეტულ კომიტეტის მმართველის სახით. ადამიანებმა, რომლებიც აწყობდენ აჯანყებას რაღაც მიზნებისათვის, რომელთაც უნდოდათ მოეწყოთ „საყოველთაო სახალხო აჯანყება“, სწორედ ამ ადამიანებმა, როდესაც მოხვდენ „ჩეკას“ სარდაფში, დასწერეს საბრალო მოწოდება, რომელშიაც ამტკიცებენ, რომ მათ სულს იქით აღარაფერი დარჩათ, სინიდისიც კი. ამ მოწოდებას ხელს აწერს თავადი ანდრონიკაშვილი. აქვე არის მენშევიკის, ნაციონალ-დემოკრატის, ფედერალისტის და ესერის ხელის-მოწერა—„каждой твари по одной паре“. ამ დოკუმენტში ისინი სწერენ,—„ჩვენ ვფიქრობდით, რომ მხარს დაგვიჭერდენ საზღვარ-გარეთიდან, მაგრამ ეს არ გამართლდა. ჩვენ უბედურება დავატეხეთ თავზე ხალხს. ამიტომ შეიარაღებული გამოსვლების გაგრძელება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იქნება დამღუპველი და სავსებით უპერსპექტივო ქართველი ერისთვის“. და ამიტომ დაშლილია ყველა კომიტეტი, [illegible], აჯანყება დამთავრდა.

რა არის ეს? ნუ თუ სერიოზულ ხალხს, რომელიც 3 წლის განმავლობაში ამზადებდენ აჯანყებას და სერიოზულად ფიქრობდენ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების დამხობას, შეუძლიათ ასეთი განცხადების დაწერა?! ეს არის გადასროლილი ყუმბარა არა მარტო მენშევიკურ პარტიაში, არამედ 2 ინტერნაციონალში. ეს მიმართვა წარმოადგენს საქართველოს მენშევიკურ პარტიის დაცემის დოკუმენტს, იმ პარტიის, რომელიც 2 ინტერნაციონალის შემადგენლობაში შედის. ჩვენ ეხლა ვხედავთ, რა საქმეებს აკეთებს ეს ორგანიზაცია, რომელიც თავის თავს 2 ინტერნაციონალის პარტიას უწოდებს. ისეთ ორგანიზაციებს და პარტიებს, რომლებიც ასეთ აჯანყებებს აწყობენ, არ აქვთ უფლება უწოდონ თავის თავს პოლიტიკური პარტიები.

ავანტიურა და საქართველოს გლეხო

ეხლა, როდესაც ავანტიურას ბოლო ელება, ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რა შედეგებს მიაღწია მან: ისინი ფიქრობდენ მოეწყოთ აჯანყება ჩვენს წინააღმდეგ, აქეზებდენ მუშებს და გლეხებს, მაგრამ გამოვიდა სულ საწინააღმდეგო—გლეხებმა გაიგეს, თუ რა ბორკილებს უმზადებდენ მას ყოფილი მემამულეები და თავადები, და თავიანთი კეტები და თოფები დაუმიზნეს თავადებს, აზნაურებს და მემამულეებს. ჩვენ გვაქვს ცნობა, რომ გლეხები სტიქიურად გამოვიდენ თავადების და მემამულეების წინააღმდეგ და მოითხოვენ მათ გაჟლეტას. ამის შესახებ მოწმობს ის დოკუმენტი, რომელიც ჩვენ მივიღეთ დღეს პირდაპირი მავთულით. აი რას სწერენ თელავის მაზრიდან:

„მაზრაში გლეხებს შორის საშინელი აღშფოთებაა თავადების და აზნაურობის წინააღმდეგ. ჩვენი საბჭოთა ორგანოები რაიონებში გუშინ ძლივს აკავებდენ გლეხების ამ აღშფოთებას, რომელმაც კინაღამ მიიღო სტიქიური აჯანყების და თვითგასამართლების ხასიათი თავადების წინააღმდეგ.

გუშინ სამაზრო კომიტეტმა ყველა რაიონებიდან მიიღო ცნობა, რომ გლეხებმა როგორც კი გაიგეს, რომ გამოსვლა საქართველოში ხელისუფლების წინააღმდეგ მოწყობილი იყო პარიტეტული კომიტეტის მიერ, რომელშიაც გაერთიანებული არიან თავადები, აზნაურები, ოფიცრები, მღვდლები და ხიზნები, მოითხოვდენ დაუყოვნებლივ გაძევებულ იქნენ სოფლებიდან თავად-აზნაურები მთელი თავიანთი ოჯახებით და ოჯახის წევრებით, დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინათ ყველა თავადები, რომელთაც შეუძლიათ იარაღის ტარება; გლეხები იმუქრებოდენ, რომ თუ სახელმწიფო ვერ მოიჩენს სიმტკიცეს ამ საკითხში, მაშინ თვით გლეხობა იკისრებს გაწმენდას რკინის ცოცხით.

გუშინვე სამაზრო კომიტეტი ვგი რაიკომების საშუალებით

---

*) დასასრული (იხ. „კომუნისტი“ 207).

ეკონომიური ცხოვრება

უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში

მიმდინარე წლის მოსავლისათვის მეთვალყურეობისა და სასურსათო რესურსების აღრიცხვისათვის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დააარსა ამიერ-კავკასიის საექსპერტო კომისია, რომელსაც დაეკისრა ზემოაღნიშნული ფუნქციები. კომისიაში შედიან შემდეგი დაწესებულებანი: ამ.-კავ. ცენტრ. სტატისტ. სამმართველო, ამ. კავკ. ფინსახკომი, ა | კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატი, ამ.-კავ. კოოპერატიული კავშირი, სახელმწ. დაზღვევის სამმართველო, მუშათა და გლეხთა ინსპექცია და ცალკე რესპუბლიკების მიწათ-მოქმედების სახ. კომისარიატები.

იმ მიზნით, რათა თავიდან იქნეს აცილებული კერძო შუამავალ-ვაჭრების ექსპლოატაცია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მოხდისათვის გლეხთა მიერ პურის რეალიზაციის დროს, უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა წინადადება მისცეს ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე მომქმედ საკრედიტო დაწესებულებებს, რათა კოოპერატიულ ორგანიზაციებს გაუღოს ფართო კრედიტი პურის შესასყიდათ.

შრომის ინვალიდ-პენსიონერთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოებაში

საქართველოს მ | გ. ინსპექციის კომისიამ მოახდინა „თბილისის დამზღვევ სალაროს შრომის ინვალიდ-პენსიონერთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების“ გამოკვლევა. ასეთის ორგანიზაციებს მიზნად აქვს შრომის უნარმოკლებულთა სოციალურ უზრუნველყოფის საქმეში სახელმწიფოსათვის ხელის შეწყობა და ეძლევა მთელი რიგი შეღავათები: თავისუფლდებიან სარეწავი გადასახადისაგან, ეძლევათ კრედიტი ფულით და საქონლით კოოპერატიულ ორგანიზაციებთან თანაბარ პირობებში. აღნიშნული საზოგადოება დაარსებულია ა | წ. 3 | 4-ს. გამოკვლევამ აღმოაჩინა **საზოგადოების მეთაურების მთელი რიგი ბოროტ-მოქმედება და სრული უწესოება.**

1) გამგეობას მოუგროვებია თანამშრომლები არა საზოგადოების წევრთაგან და დაუნიშნავს მათთვის მსუქანი ჯამაგირები საზოგადოების დაუდასტურებლად.

2) საქმის წარმოება იმყოფება ქაოტიურ მდგომარეობაში: არაა წიგნებში გატარებული მნიშვნელობის მქონე ქაღალდები, ზოგიერთ სასალარო ორდერს არ ახლავს გასამართლებელი საბუთები. საერთოდ ფულის ანგარიშები არ მოიპოება.

3) შემოსულ საწევრო გადასახადის 50 პროც. გაცემულია სესხად გამგეობის წევრებზე, რაც დაუშვებელია.

4) მუშაობის დასაწყებად თბილისის დამზღვევ სალაროსაგან 1,700 მანეთი საზოგადოებას დაუხარჯავს სასადილო „შამპანი“-ს შესაძენად და შეუკრავს საზარალო გარიგება.

5) ბაღ „არტოში“ გაუმართავთ [illegible]. ანგარიში შემოსავლის არაა [illegible]. გამგეობის სიტყვით, მოგება დარჩენილა 39 მ., რაც დაუხარჯავთ იქვე ვახშამზე.

6) წესდების წინააღმდეგ, გამგეობას მიუღია საზოგადოების წევრებათ მედუქნეები, მოვაჭრენი და მეფურნეები და აძლევინებდა მათ საწევრო გადასახადის სახით 50 მან., მაშინ როცა საწევრო გადასახადი დაწესებულია თვეში 20 კ., სამაგიეროთ აძლევდა მათ მოწმობას იმაზე, რომ მათი დაწესებულებანი (სავაჭროები) ეკუთვნის საზოგადოებას.

7) პირველივე დღიდან გამგეობას მთელი რიგი დუქნები, ფურნე, ფეხსაცმელის სახელოსნო და სააუქციო დარბაზი გადაყავს თავის სახელზე, ხოლო ფორმალურად კი ეს ჩამოყალიბებული არაა, ფაქტიურად კი სავაჭროების მეპატრონენი რჩებიან ისევ მეპატრონეებად, ხოლო სარგებლობენ საზოგადოებისათვის მიკუთვნილი შეღავათებით და იფარავენ თავის სავაჭროებს მუშკოოპის და „სახალხო კვების“ მიერ რეკვიზიციის მოხდენისაგან. საზოგადოების ხელში ითვლება 4 სასადილო, მაგრამ სასადილოების მოსამსახურეებს ის თავისად არ სთვლის, ხოლო საზოგადოების უდავო მოსამსახურეების ჯამაგირიც გამორკვეული არაა. ამნაირად არაა გამორკვეული მოსამსახურეების მიმართ გამგეობის დავალიანების რაოდენობა.

8) ანგარიშის გადათვალიერება მოხერხდა მხოლოდ სასადილოში № 1 (არსებობს ა. წ. 23 ივლისიდან), სადაც სალაროში დააკლდა 2,991 მან. 95 კ., მაშინ როცა გამგეობის წევრებს ქეიფი გაუმართავთ აღნიშნულ სასადილოში 263 მანეთზე.

9) გამგეობას მიუღია შეღავათიან ფასებში საზოგადოების გაჭირვებულ წევრთათვის დახმარების აღმოსაჩენად სოც. უზრ. სახ. კომისარიატისაგან 9 შეკვრა ამერიკული ტანთსაცმელი, შაქრის ტრესტიდან—60 ფ. შაქარი და „ხლებოპროდუკტი“-დან 60 ფ. ფქვილი; გამგეობას ამერიკული ტანთსაცმელი და ფქვილი და შაქრის 90 პროც. მიუყიდია კერძო მოვაჭრეებზე, ხოლო დანარჩენი გაუნაწილებია თავის წევრებს შორის.

10) კომისია წააწყდა გამგეობის დადგენილებას, რომლითაც ორი კერძო ვაჭარი აღჭურვილია მანდატით ფართლეულის შეღავათიანად შეძენაზე მოსკოვის სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებებიდან.

საქართველოს მ | გ. ინსპექციის კოლეგიამ დაადგინა:

1) გამგეობის დღევანდელი შემადგენლობა გადაყენებულ იქნას და მიეცეს პასუხისგებაში.

2) სასწრაფოდ მოხდეს არტელის რეორგანიზაცია და იქიდან განდევნილ იქნას ყველა, ვინც არაა დამზღვევ სალაროს პენსიონერი.

3) არ იქნას დაშვებული კერძო კაპიტალის მონაწილეობა საზოგადოების საქმიანობაში.

4) გაძლიერებულ იქნას სოციალურ უზრუნველყოფ. სახ. კომისარიატის და დამზღვევ სალაროს ხელმძღვანელობა არტელზე.

წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ღონისძიებანი.

(საქ. მ. | გ. ინსპექციისაგან)

პარტიისა და ხელისუფლების მიერ, ილიჩის ანდერძის მიხედვით, გადაწყვეტილია წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია 1927 წ. 25 ოქტომბრისთვის, ე. ი. ოქტომბრის დიდი რევოლიუციის 10 წლის იუბილეისთვის.

ჩვენს განკარგულებაში დარჩა ორი წელიწადი ამ დიდი სამუშაოს ჩასატარებლად. წერა-კითხვის უცოდინარობის სურათი საქართველოში ასეთია:

საქართველოს მთელი მოსახლეობიდან (2.023.000 კ.) 18—40 წლამდი 369.000 კ. წერა-კითხვის უცოდინარია. ყველაზე უფრო მცოდნე წერა-კითხვის არის გურია. იქ წერა-კითხვის უცოდინარნი შეადგენენ მოსახლეობის მხოლოდ 20 პროც., შემდეგ მიდის რაჭა 36,6, შორაპნის მაზრა 46,5 და სხ. ზოგიერთ მაზრებში წერა-კითხვის უცოდინარნი შეადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას, მაგ., ახალციხის მაზრაში 94,1.

უკეთესი მდგომარეობაა ქალაქებში.

საქართველოს ქალაქებში აღრიცხულია 37,800-მდი კაცი, სოფელზე კი მოდის 331.244 წერა-კითხვის უცოდინარი. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო ბრძოლას აწარმოებენ: ა) საქართველოს პოლიტ-განათლების მთავარი სამმართველო, ბ) პროფ-კავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილება, გ) რკინისგზელთა კავშირის კულტ-განყოფილება, დ) ქართული დივიზიის პოლიტიკური სამმართველო, ე) ახალგაზრდათა კომკავშირი.

აღნიშნულ ორგანიზაციებს სულ გახსნილი ქონდათ მიმდინარე წელს 900-მდი სალიკვიდაციო პუნქტი 25-000-მდი კაცისთვის.

ნაწილი სოფლის პუნქტებისა რეგულიარულად ვერ მუშაობდა, რადგანაც გაზაფხულზე, ყანის მუშაობის გამო, მათ მსმენელთა მტკიცე შემადგენლობა არ ყოლიათ. ასეთ პირობებში დასახული ამოცანის დროზე განხორციელება მოითხოვს ათკეცად მაინც მუშაობის გაფართოებას. საქ. მ. | გ. ინსპექციამ გამოიკვლია რა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ წარმოებული მუშაობა, დაადგინა შემდეგი:

1) დაევალოს პოლიტ-განათლების მთავარ-სამმართველოს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში უფრო ფართე და მტკიცე იდეური ხელმძღვანელობა გაუწიოს წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ ორგანიზაციებს და იქონიოს მათი მუშაობის შესახებ ანგარიშები და სტატისტიკური ცნობები, რომელიც მის მიერ დამუშავებული უნდა იქნეს პერიოდული ანგარიშებათ—წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მოძრაობის შესახებ.

ამასთანავე ნაყოფიერი და შეთანხმებული მუშაობის მიზნით დაევალოს ყველა იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ებრძვიან წერა-კითხვის უცოდინარობას, მჭიდროდ დაუკავშირდენ პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოს და წარუდგინონ მას პერიოდული ანგარიშები თავისი მუშაობის შესახებ

2. ვინაიდან პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოს არ მოეპოება ავტონომიურ რესპუბლიკებში (აჭარისტანი, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი) წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიმდინარეობის შესახებ საჭირო ცნობები, დაევალოს სახ. გან. კომისარიატს, რათა ავტონომიური რესპუბლიკების პოლიტგანათლების ცენტრალურ ორგანოებს შემდეგში ექმნეს მჭიდრო კავშირი საქართველოს პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოსთან.

3. განხილული და დამტკიცებული იქნეს, რაც შეიძლება საჩქაროთ, სახ. კომისართა საბჭოს მ | წ. 18 ივნისის დადგენილების თანახმად რესპუბლიკაში 1927 წ. 25 ოქტომბრისათვის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ ხარჯთ-აღრიცხვა შემუშავებული პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოს მიერ.

ამასთანავე, ვინაიდან ხარჯთ-აღრიცხვით გათვალისწინებული მასწავლებელთა შრომის ჯილდო 10 (ათი) მანეთი თვეში, შედარებით წინა წლების ჯილდოსთან (15 მან. 60 კაპ.) შემცირებულია 5 მან. 60 კაპიკით, სასურველი არის, რათა ეს შემცირება არ მოხდეს, რადგან ჯილდოს სიმცირე უარყოფითად იმოქმედებს მასწავლებელთა შრომის ნაყოფიერებაზე და შეაფერხებს ამ მხრივ საერთო მუშაობას.

4. სალიკვიდაციო პუნქტებში სოფლად გათვალისწინებული იქნეს სწავლა მხოლოდ ერთხელ წელიწადში (4 თვის კურსი), სახელდობრ: ნოემბერში, დეკემბერში, იანვარში და თებერვალში, ვინაიდან სხვა დროს, საერთოდ, ჩვენი გლეხობა დატვირთულია მუშაობით; ამ მხრივ, რასაკვირველია, გამონაკლისი შეიძლება იქნეს რესპუბლიკის ზოგიერთი კუთხეებისათვის, მათი თავისებური პირობების გამო. ქალაქებში კი შეიძლება სწავლის წარმოება მთელი წლის განმავლობაში.

5. ნაყოფიერი მუშაობისათვის სავალდებულოდ იქნეს ცნობილი, რათა სალიკვიდაციო პუნქტებში, როგორც საერთო წესი, მასწავლებელთ მიეცეს შრომისათვის ჯილდო არა თვიურად, არამედ მიცემულ გაკვეთილების რაოდენობის მიხედვით, ე. ი. ლექციურად.

6. საჭიროა ჩაბმულ იქნეს ფართედ წერა-კითხვის სალიკვიდაციო კომპანიაში საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირი. ამ საკითხის მოგვარება დაევალოს პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოს.

7. საფინანსო რეფორმის გამო მ.-წ. 15 აპრილს მთავარ პოლიტ-განათლებისათვის დახურული კრედიტი, რამაც გამოიწვია უკანასკნელის რამოდენიმე თვის დავალიანება მასწავლებლებისადმი, სასურველია, იქნეს ხელახლა აღდგენილი ფაქტიური დავალიანებისათვის საჭირო თანხის რაოდენობით.

8. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის ნაყოფიერი მუშაობისათვის საჭიროდ იქნეს ცნობილი, რათა პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოსთან არსებული „წერა-კითხვის უცოდინარეობასთან მებრძოლი საზოგადოების“ მუშაობა გაცხოველდეს და გაღრმავდეს.

შრომის მოწესრიგება

ა.-კ. მუშათა სამეურნეო ინვენტარის გამოკვლევა.

ა.-კ. გეგმათა სამმართველოს წინადადებით შრომის სტატისტიკის ა.-კ. ბიურო მიმდინარე თვეში შეუდგება ა.-კ. მუშათა სამეურნეო ინვენტარის გამოკვლევას, რომელიც იწარმოებს არჩევითი მეთოდით და გავრცელდება 150 ობიექტზე.

უცხოეთში არსებულ დაწესებულებათა მუშაკების ხელფასი.

ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატი ამუშავებს დებულებას უცხოეთში არსებულ დაწესებულებათა, დიპლომატიურ და სავაჭრო წარმომადგენლობათა მუშაკების ხელფასის შესახებ.

უბედურ შემთხვევებთან ბრძოლის შესახებ.

ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატმა დაამუშავა და ამ დღეებში გამოაქვეყნებს სავალდებულო წესებს მანქანებზე მომუშავეთა უბედურ შემთხვევათაგან დასაცავად. წესები შეეხება აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მანქანებზე და საამშენებლო სამუშაოებზე მომუშავეებს.

სამთომადნო მუშებისათვის.

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა საერთო წესები მთამადნის მუშათა საფრთხისაგან დასაცავად. წესები შეიცავს მუშაობის პირობებს მაღაროებში, ქვის სამტვრევებზე, მაღაროების გაზზე და ტვირთმზიდავზე.

წესები სახანძრო დაწესებულებებისათვის.

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატი ამუშავებს სახანძრო-საწარმოო დაწესებულებათათვის, სავალდებულო დადგენილებას, რომლის თანახმად მათ ევალებათ წინასწარ ზომების მიღება ხანძრის თავიდან ასაცდენად.

შრომის დაცვისათვის.

ა. | კ. შრომის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს შრომის კანონმდებლობის გატარების დარგში და შრომის დაცვის სფეროში ყოველგვარი დეფექტის თავიდან ასაცილებლად აუცილებლად კონტაქტი იქონიონ საკონტროლო კომისიებთან, რომელთა დახმარებით მათ გავლენა უნდა მოახდინონ სამეურნეო ორგანოებზე, კერძოდ შრომის ინსპექციებმა ზედმეტ სამუშაოებთან ბრძოლა უნდა აწარმოვონ საკონტროლო კომისიებთან შეთანხმებით.

ჯილდო მოგებიდან ანარიცხის სახით

ა. | კ. შრ. სახ. კომისარიატმა სახ. კომისართა საბჭოში შეიტანა დადგენილების პროექტი სახელმწიფო სავაჭრო კოოპერატიულ წარმოებათა და დაწესებულებათა მომუშავეების ხელფასის შესახებ. პროექტით ხსენებულ მუშაკთათვის ხელფასის მიცემა გათვალისწინებულია წმინდა მოგებიდან ან საერთო ბრუნვიდან პროცენტული ანარიცხების სახით.

მუშათა საბინაო მშენებლობისათვის.

ა | კ. შრომის სახ. კომისარიატი ამუშავებს და ამ დღეებში გამოაქვეყნებს დადგენილებას სამრეწველო წარმოებათა მუშებისათვის მუდმივი და დროებითი საბინაო შენობათა აგების და მოწყობის შესახებ. საბინაო შენობათა ტიპად მიღებულია ცალკე განმარტოებული პატარა სახლები და კომუნალური ტიპის პატარა შენობები ორსართულიან სახლზე არა უდიდესი.

ჩვენი გზატკეცილები

ახალი შოსე—გზები.

ადგილობრივი ტრანსპორტის საოლქო სამმართველო უკვე შეუდგა მუშაობას ახალი გზა-ტკეცილის გასაყვანად სურამ-ძირულას შუა. გზის სიგრძე იქნება 50 ვერსი. გზა-ტკეცილი აერთიანებს ერთი მხრივ ზემო იმერეთის იმ რაიონებს, სადაც გაშენებულია ვენახები, და მეორე მხრივ აღმოსავლეთ საქართველოს პურის მოსავლიან ადგილებს. გზა-ტკეცილის გაყვანა ხდება იმ მოსაზრებით, რომ ხელი შეუწყონ ამ რაიონების საქონლის გაცვლა-გამოცვლას.

ადგილობრივმა მოსახლეობამ თავისი სურვილით იკისრა მიწის სამუშაოების უსასყიდლოთ შესრულება, ხოლო ადგილობრივი ტრანსპორტის საოლქო სამ. და მის უწყებაში მყოფი საქართველოს გზა-ტკეცილების სამმართველო კისრულობს საშუალებათა და სამშენებლო მასალის უსასყიდლო მოწოდებას. საქ. გზა-ტკეცილების სამმართველო უკვე პირობით შეეკრა ადგილობრივ მოსახლეობის წარმომადგენლებს.

იმ რაიონებში, რომელიც გზის გარშემო მდებარეობს, მრავალი სხვა და სხვა მადნეულობაა: შავი ქვა, რკინა, ბარიტი, სურიკი, ასბესტი, და სხვა.

გზის გასაყვანად წინასწარი გამოკვლევა სწარმოებდა გასულ წელს. უკანასკნელ ხანებში გაემგზავრა ინჟინერ-ტეხნიკოსთა ჯგუფი საბოლოო გამოკვლევის მოსახდენად და სამუშაოების დასაწყებად. უკანასკნელ დრომდე მიმოსვლა ამ რაიონებს შორის სწარმოებდა ბილიკებზე, რის გამოც ზამთრობით მიმოსვლა სრულიად შეუძლებელი ხდებოდა, რადგან ზამთრობით [illegible] უღელტეხილი, რომელზედაც მიდის ბილიკი, გაუვალია.

ახალი ხიდების პროექტი

საქართველოს გზატკეცილების სამმართველომ შეიძინა ერთი იმ პროექტთაგანი, რომელიც წარდგენილი იყო „ზაპესკომის“-გან გამოცხადებულ კონკურსზე მტკვრის ხიდის ასაგებად. სამმართველომ შეიძინა რკინის ხიდის პროექტი № 2, რომელიც შედგენილია ინჟინერთა შახბუდაგოვის, ზავრიევის და პატალეევის მიერ. სამმართველოს განზრახული აქვს ეს პროექტი გამოიყენოს საგზატკეცილო მშენებლობის უახლოეს საჭიროებისათვის. იმავე ინჟინერებთან სწარმოებს მოლაპარაკება კიდევ ერთი პროექტის შესაძენად.

ცადა განემარტა აღელვებულ გლეხობისათვის, რომ საბჭოთა ხელისუფლება ღებულობს და მიიღებს უსასტიკეს ზომებს საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო შეიარაღებულ გამოსვლების და შეთქმულების მომწყობთა წინააღმდეგ. რაიკომებს წინადადება მიეცა მიიღონ ყოველგვარი ზომები მოსალოდნელ ექსცესების თავიდან ასაცდენად. მაგრამ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ხალხის დამშვიდება. ჯერ კიდევ გუშინ სამაზრო კომიტეტმა მიიღო იყალთოს რაიონის მდივნის ამხ. კობტაშვილისაგან შემდეგი შინაარსის ცნობა:

„რაიონში ადგილი აქვს დიდ აღშფოთებას თავადების და აზნაურების წინააღმდეგ. გლეხები იკრიბებიან ჯგუფ-ჯგუფად და დანგრევას უპირებენ თავადების სახლებს“.

სამაზრო კომიტეტმა მისცა ამხ. კობტაშვილს დირექტივა—თავიდან აეცდინა ექსცესები, დაემშვიდებინა გლეხები და დაერწმუნებინა ისინი, რომ საბჭოთა ხელისუფლება თავისი საგლეხო აპარატების შემწეობით მიიღებს ზომებს რაიონიდან იმ თავადების და აზნაურების გადასახლებისათვის, რომლითაც უკმაყოფილოა გლეხობა.

დღეს, დილის 7 საათზე და 30 წუთზე მიღებულია იყალთოდან ამხ. კობტაშვილისაგან შემდეგი შინაარსის ცნობა:

„დღეს განთიადისას სოფელ იყალთოს ყველა გლეხები გამოვიდნენ ქუჩაში რევოლიუციონური სიმღერით, კეტებით შეიარაღებულები და აღშფოთების ხმებით: „**სიკვდილი თავადებს, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას, ჩვენ თვითონ გავსწმენდთ არამზადა თავადების ნაშთებს სოფლებიდან**“—გაემართენ ქალებთან და ბავშვებთან ერთად თავადების სახლებისაკენ.

რაიკომმა პასუხისმგებელი მუშაკების შემწეობით სასწრაფოდ მიიღო ზომები მათ დასამშვიდებლად, მაგრამ არაფერი გამოდგა.

ამხ. კობტაშვილს, რომელმაც სცადა გლეხების დამშვიდება სიტყვით, არც კი უსმინეს. **ამის შემდეგ იყალთოს გლეხებმა დღეს დილით გამორეკეს თავადები თავიანთ სახლებიდან და მათი ქონების ნაწილს ცეცხლი გაუჩინეს, ქვის სახლებში ჩაასახლეს ღარიბესი გლეხები.** განდევნილი თავადები შეიპყრო პანიკამ და გარბიან თელავის მიმართულებით, შესაძლებელია მოძრაობა მოედოს სხვა რაიონებსაც, მაგალითად, ვაჩნაძიანს, ახმეტას და სხვა ყოფილ თავადთა ბუნაგებს“.

აი, ამხანაგებო, მოხსენება თელავიდან. ჩვენ ვიცოდით და ვიცით, რომ ეს აღშფოთება და სიძულვილი სავსებით კანონიერია და ამას უნდა მოველოდით, რადგან სიძულვილი მიმართულია თავადების და აზნაურების წინააღმდეგ. საჭიროა მხოლოდ ორგანიზაციული გზით გამოვრეკოთ თავგასული თავადები და აზნაურები მათი ბუნაგებიდან. ასეთივე მოვლენას, გლეხების ასეთსავე სიძულვილს თავად-აზნაურობისადმი ჩვენ ვამჩნევთ სიღნაღის, დუშეთის და სხვა მაზრებში. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ გლეხები სრულიად უგეგმოთ, გლეხურად „ჩეკას“ ხელმძღვანელობის და რჩევის გარეშე, თვითონ უსწორებენ ანგარიშებს თავადებს და აზნაურებს, რომლებიც მრავალ ათეულ წლების განმავლობაში სვამდენ მუშის და გლეხის სისხლს (ტაში). საჭიროა მხოლოდ გლეხთა მოძრაობას მიეცეს ორგანიზაციული ხასიათი, რათა არ მივიღოთ სტიქიური მოვლენა.

ძალაუნებურად იბადება კითხვა, ნუ თუ ავანტიურისტები ფიქრობდენ „სახალხო აჯანყების“ მოწყობას ჩვენს წინააღმდეგ, როდესაც თვით მშრომელთა მასები მოითხოვენ ამ ავანტიურისტების სასტიკ დასჯას. მოხდა ორიგინალური ამბავი: მენშევიკები ფიქრობდენ მოეწყოთ სახალხო აჯანყება ჩვენს წინააღმდეგ, ხოლო აღმოჩნდა, რომ მათ მოაწყვეს იგი თავის წინააღმდეგ. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ ჩვენ ნებას ვრთავდით ამ თავადებს და აზნაურებს მშვიდობიანად ეცხოვრათ. მართლაც, ისინი სცხოვრობდენ განცხრომით, არავინ არ აწუხებდა მათ, მაგრამ რამდენადაც მათი თანამოაზრეების, ავანტიურისტ-მენშევიკებისათვის საჭირო იყო აზნაურების სიმშვიდის დარღვევა, რაც მოხდა, დე, თავის თავს დააბრალონ. „რასაც დასთესავ, იმასვე მოიმკი“. თელავის მაზრაში გლეხებმა განაცხადეს, რომ ისინი ვერ დამშვიდდებიან, სანამ ყველა თავადები და აზნაურები თავიანთი ოჯახებით არ იქნებიან გადასახლებულნი ამ რაიონიდან. გამოდის ამხანაგებო, რომ საქართველოს ტერიტორია გადაიქცევა მშრომელთა ტერიტორიათ, ხოლო ისინი, ვინც სხვადასხვა ავანტიურისტებთან ერთად მოაწყვეს „აჯანყება“, უნდა წაბრძანდენ აქედან, იმათ ხომ „ჰყავთ ევროპა“, როგორც მათ ერთ-ერთ მოწოდებაში განაცხადეს. მშრომელები მოითხოვენ საბჭოთა ხელისუფლებისაგან საჭირო ზომების მიღებას, რათა ასეთი ელემენტები სავსებით გაძევებული იქნან საქართველოს საზღვრებიდან (ტაში).

ამხანაგებო, ჩვენ რა თქმა უნდა შურის მაძიებელი ხელისუფლება არა ვართ. როდესაც დავინახეთ, რომ ავანტიურას ბოლო ეღება, მაშინ საბჭოთა მთავრობამ მიმართა მოწოდებით ხალხს, რათა დაუბრუნდენ მშვიდობიან შრომას, რომ საჭირო არ არის ზედმეტი მსხვერპლი, რომელიც აუცილებელია ასეთ საშინელ, სულელურ ავანტიურის დროს. საჭიროა, რათა ყველა პატიოსანი მოქალაქენი და გლეხები, რომლებიც მოტყუებით იყვნენ ჩათრეულნი ავანტიურაში, დაუბრუნდენ თავიანთ მშვიდობიან შრომას. საბჭოთა ხელისუფლება აღუთქვამს მათ სრულ დახმარებას. მაგრამ გაუსწორებელმა ელემენტებმა და ინტელიგენციამ, რომელნიც თუნდაც არა აქტიურად ხელს უწყობენ საზიზღარ ავანტიურისტებს, ერთხელ და სამუდამოთ უნდა სთქვან უარი ამ გვარ გამოსვლებზე.

მშრომელი ხალხის მტრებს ვერ დავზოგავთ

დე, იცოდეს ყველამ, რომ საბჭოთა ხელისუფლება სასტიკად და შეუბრალებლად უსწორდება მათ, რომელთაც ის სთვლის აჯანყების ორგანიზატორებად. ბევრი მეშჩანები და განსაკუთრებით ქალები და სენტიმენტალური ქალიშვილები სტირიან და ნიანგის ცრემლებს ღვრიან იმის შესახებ, რომ არ უნდა დაეხვრიტათ კარგი ხალხი და გმირები, როგორც იყო მაგალითად ჯულელი, რომელსაც უნდოდა თავის მოკვლა კოვზით და ქინძისთავით. დეე მათ იტირონ და იწუწუნონ ჩვენ არ შეგვიძლია გავჰყვეთ ამ მეშჩანების გზას. —აჯანყების დროს ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ გაბედულად და მტკიცედ.

რომ ჩვენ გამოგვეჩინა თუნდაც უმნიშვნელო სისუსტე, მაშინ საქმე არასასურველ ხასიათს მიიღებდა. როდესაც ჩემს შემდეგ მთავარ სახელოსნოების კრებაზე გამოვიდა ამხ., ძამანაშვილი, რომელიც ბუნებით დღემდეც მენშევიკი დარჩა და როდესაც მას ჰკითხეს სამართლიანად ექცევა თუ არა „ჩეკა“ ისეთ ვაჟბატონებს, როგორიც არის ჯულელი, მან სთქვა, რომ ბრძოლის დროს უნდა იმოქმედოთ შეუბრალებლად და მტკიცედ, მაგრამ შეიძლებოდა არ დახვრეტილიყოვო, ვინაიდან სულ ერთია ავანტიურა დამთავრდა სრული მარცხითო. ეს იმას ამტკიცებს, რომ ამხ. ძამანაშვილი სულით კიდევ მენშევიკია. ჩვენ რომ ეს ბატონები არ დაგვეხვრიტა, ჩვენ ჩავიდენდით დიდ დანაშაულს ქართველი მშრომელი ხალხის წინაშე და ნიადაგს მივცემდით მენშევიკებს დაეწყოთ თავიანთი მოქმედება სხვა რაიონებშიაც. საბჭოთა ხელისუფლებამ თავის დროზე გამოიჩინა თავისი ძალა თავის დროზე შესძლო ამ ბანდიტური, გამოსვლის შეუბრალებლად და გაბედულად აღმოფხვრა და საბჭოთა ხელისუფლების ეს ნაბიჯები სწორი იყო. მხოლოდ რევოლიუციონური, შეუბრალებელი ხელისუფლების ენით შეიძლება ლაპარაკი უბადრუკ ლაჩარ მენშევიკებთან, რომელთაც შეუძლიათ მუცლით ხოხვა ერიოსა და მაკდონალდის წინაშე, რომლებიც აღუთქვამენ მათ ფულებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ეს ავანტიურა ასე სამარცხვინოთ დაწყებული, ასევე სამარცხვინოდ დამთავრდა. ეს იქნება კარგი გაკვეთილი იმისი, თუ როგორ უნდა მუშაობა საბჭოთა საქართველოს საკეთილდღეოდ.

სამ ნახევარი წლის განმავლობაში ჩვენ მთელი ჩვენი ძალები მივმართეთ კულტურულ და ეკონომიურ ფრონტისაკენ და ბევრიც გავაკეთეთ ამ მხრივ. ამას ჩვენი მტრებიც ლაპარაკობენ. მაგრამ თავხედმა ხალხმა, რომელიც დაინტერესებულია მხოლოდ თავისი პორტფელების აღდგენით, მოინდომა აჯანყების მოწყობა. ჩვენ მათ გავუსწორდით შეუბრალებლად. ეხლა ჩვენი ამოცანა მდგომარეობს ჩვენი რიგების განმტკიცებაში და შემდეგ მუშაობაში საბჭოთა საქართველოს საკეთილდღეოდ. არასოდეს არ დაბრუნდება ის წესწყობილება, რომელზედაც ოცნებობდენ შორაპნის და სამეგრელოს ეს დროებითი და უდროვო მმართველები! სადარაჯოზეა კომუნისტური პარტია, რომელმაც შექმნა და რომელიც ამტკიცებს საქართველოში მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას, ხოლო თავადებს, აზნაურებს და სხვა ასეთ სიბინძურეს ის მოაშორებს ამ საქართველოს. (მქუხარე ტაში).

რეზოლუცია

ამხ. კახიანის მოხსენების გარშემო

საქ. კომპარტიის არსენალის რაიონის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრებამ, მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება საქართველოში მომხდარ უკანასკნელ ამბების შესახებ, აღნიშნავს, რომ მენშევიკები, შეიარაღებულ გამოსვლებში მონაწილეობას იღებდენ თავადები, აზნაურები, ვაჭრები და მედუქნეები ე. ი. ყველა ისინი, რომელნიც მოელოდენ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ნაციონალიზაციაქმნილ მიწების, ფაბრიკების ქარხნების და სხვ. დაბრუნებას.

გამოსვლამ დაამტკიცა, რომ მენშევიკებს არ ჰქონდათ არავითარი ნიადაგი და დასაყრდნობი არც მუშათა კლასში, არც გლეხობაში და აგრეთვე არც ქართველი ინტელიგენციის რიგებში.

გლეხების აღშფოთება მემამულეების წინააღმდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ყველა მაზრებში, ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ მენშევიკების ავანტიურა იყო უბრალო ბანდიტური გამოსვლა, რომელსაც მუშათა კლასმა საქართველოს გლეხობასთან ერთად შესაფერი პასუხი გასცა.

პარიტეტული კომიტეტის უკანასკნელი განცხადება წარმოადგენს საქართველოში ანტისაბჭოთა ჯგუფების სრულ გაკოტრების აღიარებას.

არსენალის რაიონის საერთო კრება სავსებით სწორად სთვლის საბჭოთა ხელისუფლების ხაზს, რომელიც მიმართულია ბანდიტურ გამოსვლების დაუზოგავ ჩაქრობისაკენ და მოითხოვს ასეთსავე გასწორებას მეშევიკურ ავანტიურის მონაწილეთა მიმართაც.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს!

გაუმარჯოს საქართველოს სახელოვან წითელ არმიას და კავკასიის წითელდროშოვან არმიას.

გაუმარჯოს 3 კომუნისტურ ინტერნაციონალს!

საექიმო დარგში მომუშავეთა საქალაქო კონფერენცია

10 სექტემბერს შესდგა მედიკსან-შრომის კავშირის წევრთა დელეგატების საქალაქო კონფერენცია.

კონფერენციის დღის წესრიგში იდგა კავშირის ურთი-ერთ დამხმარე კასის ბიუროს მოქმედების ანგარიში და კასის ფილიალების დებულების განხილვა.

თავის საანგარიშო მოხსენებაში ბიუროს თავმჯდომარე ამხ. ნარჩემაშვილი შეეხო უმთავრესად იმ დაბრკოლებებს, რომელნიც ძალზე აფერხებენ კასის წესიერად მუშაობას. 1 იანვრიდან 1 სექტემბრამდე კასაში სულ შემოსულია 7956 მანეთი, გაცემულია სესხად—6611 მან. 72 კაპ. ერთდროული დახმარების სახით 927 მან. 35 კაპ.

კასის წევრთა რიცხვი შეადგენს 2200 კაცს. 718 შემოტანილ განცხადებაში დაკმაყოფილებულ იქნა მხოლოდ 553. უმთავრესი [illegible], რომელიც აფერხებს კასის მუშაობას, არის გატანილი სესხის დაუბრუნებლობა, რომლის წინააღმდეგ საჭიროა ზომების [illegible].

კამათის შემდეგ კონფერენცია ადგენს იმ წარმოება-დაწესებულებებში, სადაც მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი აღწევს 250 კაცს გახსნას ცენტრალური კასის ფილიალები.

50 პროც. თავის შემოსავლისას ფილიალები უგზავნიან ცენტ. კასას.

კასის ბიუროს მუშაობას კონფერენცია სცნობს დამაკმაყოფილებლად.

დასასრულ განხილულ და მიღებულ იქნა კასის ადგილობრივი ფილიალების დებულებები, რის შემდეგ კონფერენცია დაიხურა.

ა. ნ.

ქრონიკა

— **საარმიო კლუბის სამხატვრო ინსტიტუტში.** კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სამხედრო ცოდნათა საარმიო კლუბის სამხატვრო ინსტიტუტში მსურველთა მიღების ვადა გაგრძელებულია ამა წლის 10 ოქტომბრამდე.

დამწყებთათვის არის მოსამზადებელი განყოფილება. წითელ-არმიელები და პროფკავშირების წევრები, თუ უკანასკნელები იგზავნებიან კავშირების მიერ, არ იხდიან სწავლის ფულს.

ყველა ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის კანცელარიაში (პლეხანოვის № 149, სადაც მოთავსებულია საარმიო კლუბის კანცელარია).

— **სპეცტანისამოსი მავნე წარმოება-დაწესებულებაში მომუშავეთათვის** ა | კ. შრომის კომისარიატმა გამოიმუშავა წესები ჯანმრთელობისთვის მავნე წარმოება-დაწესებულებებში მუშებისათვის სპეცტანისამოსის მიცემის შესახებ.

— **ამხ. კამოს სახელობის საავადმყოფო.** ამხ. კამოს სახელობის პროფესიონალურ ავადმყოფობის საავადმყოფო გადავიდა თბილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების განკარგულებაში.

— **ქვაფენილების გაფართოება.** ქ. აღმასკომი უკვე შეუდგა პუშკინის ქუჩაზე ქვაფენილების გაფართოებას. პუშკინის სახელობის ბაღის ღობე აწეულ იქნება ორ არშინზე.

— **საბინაო გადასახადი.** საბინაო კოოპერაციის კომიტეტმა ცენტრალურ კომიტეტში უკვე წარადგინა დასამტკიცებლად დადგენილების გეგმა საბინაო გადასახადის შესახებ.

— **წყლის მიწოდება.** აგვისტოს თვის განმავლობაში ავჭალის წყალსადენმა ქალაქს მიაწოდა 39.714.617 ვედრო წყალი.

— **შემოსავალი ფუნიკულიორიდან.** 1924 წლის 7 თვის განმავლობაში თბილისის ფუნიკულიორიდან შემოვიდა სულ 20.441 მან.

— **რამდენჯერ გაჩნდა ცეცხლი.** თბილისის აღმასკომის სტატისტიკურ სამმართველოს ცნობით, 1924 წლის განმავლობაში ყოველთვე საშუალო გამოანგარიშებით თბილისში გაჩენილა ცეცხლი 32 ჯერ.

— **კოლლექ. ხელშეკრულება „სტანდარტ“-თან.** მშენებელთა კავშირი კოლლექტიური ხელშეკრულებით შეეკრა საზოგადოება „სტანდარტ-“ს, 1 კატეგორიის განაკვეთად დაწესებულია 15 მან., ხოლო შეფარდება 1:8.

— **სამხედრო ტრიბუნალში.** 12 სექტემბრისათვის დანიშნულია გარჩევათ პოლიტსკოლის წითელარმიელის პლატ. ბურხაშვილის საქმე. ბრალდება დეზერტირობა და სახელ. [illegible] გაფლანგვა.

— **წითელ-არმიელთა სასპორტო წრე.** წით. არმიელთა ცენტრალურ კლუბთან მოეწყო მძიმე ატლეტიკის სასპორტო წრე, რომელიც დაიწყებს მუშაობას 16 სექტემბრიდან.

— **ხორცის ბაზრის გასაუმჯობესებლად.** ხორცის ბაზრის გაფართოების და გაუმჯობესების მიზნით კოოპერატივმა „წითელმა ქართლმა“ გადაწყვიტა გახსნას თბილისის სხვადასხვა უბნებში საყასბოები.

— **სავაჭრო დაწესებულებები დასავლეთ საქართველოში**—დასავლეთ საქართველოში ამჟამად იმყოფება სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულება—48, კოოპერატიული სავაჭროები 76, კერძო პირთა სავაჭროები 2113. სულ 2237.

— **სავაჭრო დაწესებულებები აღმოსავლეთ საქართველოში.** აღმოსავლეთ საქართველოში ამჟამად სახელმწიფო-სავაჭრო დაწესებულება არის—148, კოოპერატიული სავაჭრო 107. კერძო პირთა სავაჭროები 5,571, სულ 5.826.

— **კოოპერაცია გარე-კახეთში.** გარე-კახეთში ერთად-ერთი მთლიანი კოოპერატივი არსებობს საგარეჯოში დანარჩენი კი უსახსრობის გამო შეუერთეს თბილისის მუშათა კოოპერატივს.

— **კერძო ვაჭრობა ისპობა.** ბათომის მუშათა კოოპერატივ ხსნის პურის საცხობს. კოოპერატივმა შუამდგომლობა აღძრა ადგილობრივ კომუნალურ მეურნეობის წინაშე ქალაქში რამოდენიმე დარაბის დათმობის შესახებ, სადაც უნდა მოეწყოს ხორცით და სხვა წვრილმანით ვაჭრობა. დღით-დღე კოოპერატივების თანხები იზრდება და ხალხიც უფრო კოოპერატივებში ვაჭრობს, ვიდრე ჩარჩ-ვაჭრებთან.

— **ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის საავადმყოფო.** 20 სექტემბერს ახალქალაქში იხსნება მ. ცხაკაიას სახელობის საავადმყოფო 50 საწოლით.

— **აგარაკ შოვის ელექტროფიკაცია.** აგარაკ შოვში ჰიდრო ელექტრო სადგურის ასაგებად მუშაობა დაიწყება ამ დღეებში და მომავალი წლის საგარაკო სეზონისთვის მზად იქნება.

— **აბრეშუმის პარკის საქმის გამოკვლევა.** ახლო ხანში მუშათა და გლეხთა ინსპექცია შეუდგება საქართველოში აბრეშუმის პარკის საქმის და მიმდინარე ოპერაციების საქმის გამოკვლევას.

— **აბანო გოგილოს შეკეთება.** ქალაქის აღმასკომმა აბანო გოგილოს საფუძვლიან შესაკეთებლად გადასდო 38,890 მან.

— **ციმბირის ჭირის წინააღმდეგ.** ქ. კომუნალურ განყოფილებამ მაზრაში ციმბირის ჭირთან საბრძოლველად გადასწყვიტა გაადიდოს ბეითალთა პერსონალი ორი ექიმით და სამი ფერშლით.

— **საბინაო-შემკეთებელი ამხანაგობა.** კომუნალურ განყოფილებამ დაამტკიცა ორი ახალი საბინაო-შემკეთებელი ამხანაგობა

— **ფიზიკური ვარჯიშობის წრე.** ქ. აღმასკომმა სასაკლაოსთან მუშებისათვის ფიზიკურ სავარჯიშო წრის მოსაწყობათ გადასდო 211 მ.

— **წყაროების გამოყვანა.** ქალაქის წყალსადენის სამმართველომ მოახდინა გლდანის წყაროების გამოკვლევა, რომლებიც კარგი აღმოჩნდენ თავიანთი თვისებებით. განზრახულია აღნიშნულ წყაროების გამოყვანა ქ. თბილისში. წყაროებს დღეში შეუძლიან მოგვცეს 200,000 ვედრო.

— **ილდარის ველის მორწყვა.** ა. კ. წყალთა მეურნეობის სამმართველომ დაასრულა ილდარის ველის, სიღნაღის მაზრის გამოკვლევა მისი მორწყვის მიზნით. მორწყულ იქნება 14.000 დეს.

— **დამზღვევ წიგნაკების აღრიცხვა.** დამზღვევ წიგნების აღრიცხვა უნდა აწარმოონ ადგილკომებმა და ქარხკომებმა. აღრიცხვა უნდა დასრულდეს 1 ოქტომბრამდე. ის წიგნაკები, რომლებიც აღრიცხული არ იქნებიან, აღარ ივარგებენ სახმარებლად.

— **მშენებლობის კომიტეტის მოწყობა.** მშენებელთა კავშირის სამდივნომ საჭიროთ სცნო მოაწყოს მშენებლობის კომიტეტები და აცნობოს ამის შესახებ შრომის ბირჟას. მშენებლობის კომიტეტს წინადადება მიეცა კავშირში ჩაწეროს ყველა მშენებელი მუშა, რომელსაც აქვს მუშაობის 3 თვის სტაჟი.

— **სკოლები გლეხთა შვილებისათვის.** განათ. სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა მთელ რიგ მაზრებში გახსნას 3 წლიანი პრაქტიკულ აგრონომიული ხასიათის სკოლები გლეხთა შვილებისათვის.

— **საექიმო იარაღების შეძენა.** ახალქალაქის სამაზრო აღმასკომის რწმუნებულმა შეიძინა თბილისში საექიმო იარაღები ახალქალაქის საავადმყოფოსათვის.

— **მოწმობების დაბრუნება.** მუშა-მოსამსახურეებს, რომლებმაც წარმოადგინეს თავიანთი მოწმობები საკურორტო კომისიაში, კურორტებზე გასაგზავნად, მოწმობები უკანვე შეუძლიათ მიიღონ დამზღვევ კასიდან სამსახურის საათებში.

შემთხვევები

გვამის პოვნა. 9 სექტ. პლეხანოვის პროსპ. № 174 თავის ბინაზე იპოვეს სერგო ოზერსკის გვამი. ძიება სწარმოებს.

— **ცეცხლი.** 1 სექ. სოფ. ნაზარლოში (ყარაიაზის რაიონი) ბოროტ-გამზრახველებმა ცეცხლი წაუკიდეს გლეხების—გიულ მამედ ოღლის, მუსტაფა მამედ ოღლის და ასადა გიულ მამედ ოღლის სახლებს. ზარალი 1200 მან. უდრის. ეჭვით შეიპყრეს ხან გუსტარ ოღლი.

— **აფერისტი.** 9 სექ. სტრელკოვის ქ. № 5 არმენაკ აირაპეტოვის ბინაზე გამოცხადდა უცნობი პირი და ჩეკას თანამშრომლის სახელით მოახდინა გაჩხრეკა, რის დროსაც წაიღო 120 მ. ძვირფასი ნივთები.

— **შეპყრობა.** 9 სექ. ღამით შეიპყრეს ოთხი ქურდი რეციდივისტი—ახობაძე, მდივანი, ყოფიანი და ნეკტისხველი.

— **ქურდობა.** 9 სექ. დღით, ლენინის ქ. № 3 გაქურდეს ალექსანდრა პაშინას ბინა.

— ამავე დღეს საღამოს, პლეხანოვის პრ. № 22 გაქურდეს მაჩაიძის ბინა.

მუშათა ცხოვრება

როდის მოგვექცევა ყურადღება!?

(ცენტროტრამოტას საყურადღებოდ)

კაცს თუ თვითონ არ გამოუცდია, ის ვერ გაიგებს სხვის გოდებას. ჩვენ, საქონლის სადგურის მუშებს ძალიან მძიმე საქმე გვაბარია და ხელფასი კი ძალიან მცირე გვაქვს და ისიც დაგვიანებით. ამაზე ბევრჯერ გვითქვამს, დაგვიწერია, მაგრამ ჩვენ დღემდე ყურადღებას არავინ გვაქცევს. ძალიან გვიძნელდება მუშაობა კურტნების უქონლობის გამო. ჩვენ, მუშები, ვართ ოთხას კაცზე მეტი და კურტანი კი ძალიან ცოტაა, ასე რომ ათ კაცს შეხვდება ერთი კურტანი. რადგანაც ჩვენ უკურტნოთ ვერ შევძლებთ ათფუთიან ტვირთის გადმოღებას ვაგონებიდან, ამიტომ მუშაობს ის, ვისაც შეხვდება კურტანი, დანარჩენები უსაქმოდ დაიარებიან. მართალია, არიან ისეთი ვაჟბატონებიც, რომლებსაც სირცხვილად მიაჩნიათ კურტნის ტარება, მაგრამ უნდა იცოდნენ, რომ კურტანს დიდი მნიშვნელობა აქვს. ასე რომ მთელი მძიმე საქმე, რაც კი არის, წილად ხვდება კურტნიან მუშებს. საკმარისი კურტანი რომ იყოს, მაშინ ყველას ერთნაირად შეხვდებოდა საქმე. იყო ასეთი მაგალითიც: კურტნიან მუშას მიჰქონდა საწყობში ათი ფუთი შუშის ბიდონით თეძაფი, საწყობში შესვლის დროს შუშა გატყდა, მთელი თეძაფი გადაესხა მუშას. ლაპარაკი ზედმეტია იმაზე, თუ რა დაემართა მუშას. იგი იმ წამსვე დამწვარი წაიყვანეს საავადმყოფოში. ჩვენ კიდევ მოვითხოვთ მოგვაქციონ ყურადღება.

მუშა **დანდუროვი.**

ჩვენც გვალირსეთ კოოპერატიული დუქანი

(მუშკოოპის საყურადღებოდ)

მე-6 სამილიციო უბანში არ გვაქვს კოოპერატივი, სადაც მეტი წილი მუშა ხალხია. ეს უბანი მუშათა უბანია. თუმცა აქ არის ერთი კოოპერატიული დუქანი, მაგრამ ის ძალიან შორს არის, „ნავთლუღშია". ცხადია, რომ ერთი დუქანი საკმარისი არ არის ამ დიდ უბანში, და კარგი იქნებოდა, რომ აქ გაგვიხსნიდენ ერთ დუქანს და ერთ წითელ სასადილოს. დაგვიხსენით გაიძვერა ვაჭრებისაგან, დღეს კი ვაჭრები გვძრობენ ტყავს მუშებს და გლეხებს, მუშების ნაოფლარი ფული და საშუალება მათ ხელში ვარდება. მათ ბრჭყალებს თავი უნდა დავაღწიოთ, მოგვეშველეთ.

მილიც. ბე—შვილი.

დაიცავით სისუფთავე!

(სანიტარულ კომისიის საყურადღებოდ).

ანტონოვის ქუჩაზე სახლი № 28 ყოველგვარ სისუფთავეს მოკლებულია, ეზოში აუწერელი სიბინძურეა გამეფებული, რომელიც სწამლავს ირგვლივ ჰაერს. ეზოში არის ფეხისალაგის საიდანაც ამოდის სითხე, რომელიც გარედ ქუჩაში გამოდის და საშინელ ამიაკის სუნს ჰფანტავს.

საჭიროა ყურადღება მიაქციოს სანიტარულმა კომისიამ.

ინფ. ა. კ—შვილი.

ცეკავშირის სტამბა

(მუშკორ კ-ძეს წერილის გამო).

უკანასკნელ რვა თვის განმავლობაში ცეკავშირის სტამბამ გადარიცხა საამორტიზაციო და სხვა ფონდებში—3.474 მ. 77 კაპ. ამას გარდა დარჩა სტამბას წმინდა მოგება 1815 მან. 19 კაპ. აქედან ნათლად სჩანს, თუ როგორ ფარავს ცეკავშირის სტამბა თავის ხარჯებს.

ქაღალდს სტამბა იძენს „ცენტრობუმტრესტიდან", „ცენტროსოიუზიდან" და სხვა მსხვილ ორგანიზაციებიდან ას ფუთობით. პირველ სექტემბრისათვის სტამბას ჰქონდა საწყობში 12,000 მან. ქაღალდი (ათას ფუთზე მეტი).

სტამბა ასრულებს უმთავრესად ცეკავშირის საქმეს, მაგრამ ამავე დროს ასრულებს აგრეთვე სხვადასხვა კოოპერატიულ და სახელმწიფო დაწესებულებების დაკვეთებსაც. მაგალითად: წარმოკავშირის, სამხედრო კოოპერატივის („ევკოგრუზი"), კოოპერატიული ბანკის „ხლებოპროდუქტი-"ს, „სახაროტრესტი-"ს და სხვების. ყველა ესენი ჩვენი დამკვეთლები არიან. ამ უკანასკნელ რვა თვის განმავლობაში სტამბამ გააკეთა 34.000 მანეთის საქმე, აქედან ცეკავშირის და მის პროვინციალურ განყოფილებების—24.363 მან., სხვა დაწესებულებების 9637 მ.

ზემოდ მოყვანილი ციფრებიდან ნათლად სჩანს, თუ როგორი ნაყოფიერია ჩვენი სტამბის მუშაობა.

ჩვენი სტამბის კარები ღიაა ყველასათვის და ყველას შეუძლიან მიიღოს საჭირო ცნობები მისი საქმიანობის შესახებ, რაც არავისთვის დაფარული არ არის. მუშკორ კ—ძესაც შეეძლო მოსულიყო სტამბაში და თავისი თვალით დარწმუნებულიყო ზემოდ მოყვანილ ციფრების სირამდვილეში. ის კი ზერელად უყურებს საქმეს და ამიტომაც სცდება კიდევაც.

ცეკავშირის სტამბის ადგკომის მდივანი—**მაისურაძე.**

რკინისგზელებში

რას ვაკეთებთ რკინისგზელები?

ივნისის თვის განმავლობაში—სამეურნეო საშუალებებით დამზადებულია 71 კუბ. საჟ. შეშა, გამოტანილია ტყიდან 115 კუბ. საჟენი, ტყეში გვაქვს 3,144 კუბ. საჟენი. ამავე თვის განმავლობაში შეძენილია 2,117 ცალი შპალი დამზადებული, ტყეში 1611 ც. გამოტანილია ლიანდაგთან 7,750 ცალი, აქტებით ჩაბარებულია 25,588 ც., გვაქვს კიდევ 12,154 ც., ლიანდაგთან გამოტანილია 6775 კუბიკური საჟენი შეშა, თვითეული საჟენი გვიღირს 25 მ. 30 კ. თითო შპალი კი საშუალოდ ღირს 1 მ. 36 კაპეიკი.

პირველ აგვისტოსათვის სათბობ მასალათა რიცხვიდან გვქონდა დამზადებული:

შეშა—4734,77 კუბ. საჟენი.

ნავთობი—2,202,866 ფუთი.

ტყვიბულის ნახშირი—253,723 ფ.

გაშვებულია სათბობ მასალათაგან: შეშა 353,49 კუბ. საჟენი, ნავთობი 810.388 ფ., ტყვიბულის ნახშირი—154,910 ფუთი.

ინფ. კოპ—ძე.

რკინისგზელთა ქრონიკა

— **საბილეთო მაგიდის შტატის შესახებ** ა.-კ. რკ. გზ. სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა ადგილკომმა შეადგინა კომისია 5 კაცისაგან, რომელიც გამოარკვევს საბილეთო მაგიდის მოსამსახურეთა შტატის გადიდების საჭიროებას.

— **კავშირიდან გამორიცხვა.** რკ. გზ. სამმართველოს ადგილკომის დელეგატურმა კრებამ გამორიცხა კავშირიდან მოქ. სტოლარჩენკო, რომელმაც ანკეტის შედგენის დროს დამალა თავის ყოფილი ოფიცრობის წოდება და ნამსახურობა.

— **დახმარება.** სადგურ ბორჯომის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა გაუწიოს დახმარება საშველო სოფელ ყვიბისის მცხოვრებლებს სკოლის აგებაში.

— **„რემედასის" უჯრედების დაარსება.** სად. ბორჯომში მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების დადგენილებით დაარსდა „რემედას"-ის უჯრედი, რომლის რწმუნებულად არჩეულია ამხ. ცინცაძე.

— **კედლის გაზეთი.** სად. ნავთლუღის ადგილკომმა გამოსცა კედლის გაზეთ „მეხი"-ს მორიგი მე-14 ნომერი.

— **გაფრთხილება.** სად. ბორჯომის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ დაადგინა ურთიერთ დამხმარე სალაროს მოვალეების საყურადღებოდ მისცეს მათ უკანასკნელი გაფრთხილება ვალის გადახდის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი პირები გამოირიცხებიან კავშირიდან.

— **შრომის ინსპექტორად.** ხაშურის საუბ. პროფკავშირმა დაადგინა ამხ. ზელინსკი გადაყვანილ იქნეს ბორჯომის რკ. გზ. სად. ადგილკომში სამუშაოდ, ხოლო შრომის ინსპექტორად დაინიშნოს ამხ. ს. კაპანაძე.

— **რკ.-გზის კავშ. წმენდა.** ხაშურის საუბ. პროფკავშირის პრეზიდიუმმა გამორიცხა კავშირიდან ომლიან ივანიუკი და ილია ყიფიანი როგორც ყოფ. ბოქაულები.

— **კედლის გაზეთი.** დეპოს კომკავშირის კომბიურომ გამოსცა კედლის გაზეთი „გზა თავისუფალია".

პროვინციაში

ახალ სოფლის თემი (გორის მაზრა)

ამ ჟამად ჩვენს თემში მუშაობა კარგად მიმდინარეობს; მოგვივიდა ახალი საბჭოს თავმჯდომარე პარტიული ამხანაგი ვ. ქოქოევი. მან პირველი ყურადღება მიაქცია ჩვენში, ოსებში ცუდი ჩვეულების ურადის, ქელეხის და მკითხაობის მოსპობას. ხალხის დადგენილებით ამხ. ქოქოევი შეუდგა ამ ჩვეულებათა მოსპობას; მან რამდენიმე მკითხავი დაიჭირა, მათ შორის ერთი წალკელი სომეხი მათოზი, რომელიც მკითხაობაში ძროხებსაც კი იღებდა მომეტებული წილი ხალხისა მიხვდა, რაშიაც არის საქმე და თანდათან ისპობა წარმართობა და ცრუმორწმუნეობა. ჩვენი ხალხი აღარ დაიხრება საყდრებში.

მხოლოდ ჩვენდა საუბედუროდ შორს ვიმყოფებით გორიდან და საერთოდ რკინის გზიდან 40 ვერსით დაშორებულნი და ამ მიზეზის გამო ამხანაგი პროპაგანდისტები ძალიან იშვიათად დადიან. თითქმის ყველგან დაარსდა კომუჯრედები, მაგრამ ჩვენში კი არა. ჩვენ, ოსობამაც დიდი ზარალი მიიღო მენშევიკებისაგან და ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების შემოსვლას დიდი სიხარულით დახვდნენ და ჩვენი სახელით მიეგება ჩვენი დელეგატი ამხ. მახარაძე. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩვენშიაც დაარსდეს კომუჯრედები. ჩვენ გვსურს დაუახლოვდეთ ჩვენი საბჭოთა ხელისუფლებას. ჩვენში მთელ ოცდა ხუთ სოფელში არსებობს მხოლოდ ორი შრომის სკოლა. ჩვენი თემიდან ჯერ არავის უსწავლია პარტიულ სკოლაში, სურვილი კი ბევრს აქვს; ამიტომ კარგი იქნება, რომ რამდენიმე პირი ჩვენი თემიდანაც მიიღონ პარტ. სკოლაში. ასეთ სკოლებიდან გამოსული პირები ჩვენთვის ერთიად საჭირონი არიან. შრომის სკოლები ჩვენში მხოლოდ ორია: ახალ სოფელში და ჯვარეში. ხალხს სწავლა ძალიან სწყურია, მხოლოდ სკოლები არა აქვთ. არის ისეთი თემებიც, სადაც ბევრია სკოლები. სამართლიანობა იქნებოდა ზოგი სოფლიდან გამოიტანონ სკოლები ჩვენს ბნელ კუთხეში მთიულეთში და ოსებში. სამხრეთ ოსეთში თითქმის ყველა სოფელშია სკოლები. საჭიროა აგრეთვე ჩვენში წერაკითხვის სალიკვიდაციო სკოლები.

გზები ჩვენს თემში ისეა გაფუჭებული და უვარგისი, რომ სიარული ცხენით შეუძლებელია. არც ხიდია ჩვენს მდინარე თეზამზე. ხალხს სურს გააკეთოს გზებიც და ხიდიც, მხოლოდ საჭიროა გორის კომუნალურმა განყოფილებამ მოგვცეს სამუშაო იარაღი და დინამიტი და აგრეთვე ხელმძღვანელობა გაუწიოს. ჩვენი თემი იმიტომ არის დაქვეითებული სწავლა-განათლებით, რომ გზები არც გვაქვს და მასწავლებლებიც არ თანხმდებიან აქ წამოსვლაზე.

სამწუხაროთ ამ თემში უსწავლელობის გამო გავრცელებულია ქურდობა. ქურდების, რომელთა შორის კულაკებიც მოიპოვებიან, საწყალმართალ ხალხს შიშით ხმის ამოღება არ შეუძლიანთ. ამას ანგარიში უნდა გაუწიოს ჩვენმა საბჭოს თავმჯდომარემ და მიიღოს ზომები ამ სენის აღმოსაფხვრელად.

გ.

გლეხკომები დუშეთის მაზრაში

1923 წლის ივლისიდან საქ. სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატი შეუდგა საქართველოში გლეხკომების დაარსებას. ზოგიერთ კუთხეებში ასეთმა ორგანიზაციებმა საკმაო უნარიანობა გამოიჩინეს. დუშეთის მაზრაში კი გლეხკომების ორგანიზაცია მოისუსტებს. ამ ორგანიზაციას სათავეში უნდა უდგეს გამოცდილი პიროვნება.

თავიდან დუშეთის მაზრაში გლეხკომების ორგანიზაციას აწარმოებდენ ძველი ინსპექტორები, რომელთაც ვერ გამოიჩინეს საკმაო ნიჭი ამ მუშაობაში.

დღეს დუშეთის მაზრაში დაარსებულია ცხრა სარაიონო გლეხკომი, რომელნიც აწარმოებენ საჭირო მუშაობას:

დუშეთის მაზრაში გლეხკომები გამოღვიძების ნიადაგზედ დგებიან. ამა წლის ივლისიდან გლეხკომები იქნენ გადახალისებული, მოხდა ახალი არჩევნები.

მაზრაღმასკომის სოც. უზრ. ყოფ. ინსპექტორმა ამხ. **დარახველიძემ** მოახდინა ამ ორგანიზაციების გადახალისება და დაარსა გლეხკომები ოთხ რაიონში.

დუშეთის მაზრაში ჰირნახულის მოსავალი არ არის ნაქები. აქაური გლეხობის საარსებო წყარო არის უმთავრესად მსხვილ და წვრილ-ფეხა საქონლის მოშენება.

დუშეთის მაზრაში საბალახოები იმყოფება მიწათ-მოქ. კომისარიატის ხელში; გლეხკომებს გადაცემული უნდა ჰქონდეთ თავიანთ განკარგულებაში ამ საბალახოების ნაწილი მაინც. მათი ფონდის გასაძლიერებლათ.

30 აგვისტოს რაი-გლეხკომთა თავმჯდომარეთა თათბირმა დაადგინა, რომ იქნეს მოწვეული კონფერენცია სამაზრო გლეხკომის ასარჩევათ. სამაზრო გლეხკომს დაევალება ხელმძღვანელობის გაწევა დუშეთის მაზრაში არსებულ გლეხკომებისთვის.

როსტიაშვილი.

ქალაქ ზუგდიდში საჭიროა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გახსნა

სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით ზუგდიდის მაზრას თვალსაჩინო ადგილი უკავია საქართველოში. ის შედის დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონში (აჭარა, გურია, სამეგრელო და აფხაზეთი), სადაც შეიძლება გავრცელდეს ჩაი, მანდარინა, ბამბუკი, ევკალიპტი და სხვა ძვირფასი ტექნიკური მცენარეები. ტერიტორიის მხრივ ზუგდიდის მაზრას ამ ზონაში პირველი ადგილი უკავია. საერთოდ სამეგრელოში და განსაკუთრებულად ზუგდიდის მაზრაში სოფლის მეურნეობის სხვა დარგებსაც კარგი პერსპექტივები აქვს.

სამწუხაროდ, წარსულში ამ მხარეს არ ჰქონდა სათანადო ყურადღება მიქცეული და ამიტომ აქ სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარებას თითქოს შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. საქართველოში (აჭარის და აფხაზეთის გამოკლებით) არსებობს 34 სახ. მამული, ფერმა თუ საცდელი დაწესებულება, რომლებიც ჰესაფერ გავლენას ახდენენ ამა თუ იმ რაიონში სოფლის მეურნეობის განვითარებაზე. არც ერთი ამ დაწესებულებათაგანი სამეგრელოს ფარგლებში არ იმყოფება.

მიწად-მოქმედების და განათლების სახალხო კომისარიატებს განზრახული აქვთ ა. წ. 1 ოქტომბრიდან გახსნან ხუთი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი და მათ შორის ერთი ზუგდიდშიც უნდა გაიხსნას. ამ კომისარიატებში იმყოფება საკმაოდ ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება ზუგდიდში აღნიშნული ტექნიკუმის გახსნის აუცილებლობის შესახებ. ზუგდიდის აღმასკომმა დაუთმო ტექნიკუმს ყოფილი სასახლის შენობა და ეზო 7 დესეტინამდე, ნაწილობრივ უკვე გაშენებული. აღმასკომი ღებულობს თავის თავზე აგრეთვე საჭირო ხარჯების ნაწილის გაღებას.

იმედია, რომ აღნიშნული მოსაზრებები მიღებულ იქნება მხედველობაში და დამტკიცდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის გახსნა ქ. ზუგდიდში.

ამ რიგად ახლა მაინც ზუგდიდის და სამურზაყანოს მაზრების გლეხკაცობის ახალგაზრდობას მიეცემა საშუალება მიიღოს სასოფლო-სამეურნეო განათლება და გლეხურ მეურნეობაში შეიტანოს სასურველი ინტენსიფიკაცია.

ბ. ცაგურია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა 1924 წ. სექტემბრის 8

რკინის გზათა წესდების 101 მუხ. შენიშვნის გაუქმების შესახებ.

რადგანაც უკვე შეიცვალა ის გარემოება, რის გამოც ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცა 1923 წ. ივნისის 21-ს თარიღისა და 61 №-რის დადგენილება ამიერ-კავკასიის რკინის გზებისადმი გადანაყოლის დაბრუნების თაობაზე სარჩელისა და მოთხოვნის აღძვრის ვადის შემცირების შესახებ (ა | კ. სოც. საბჭ. რესპ. კანონთა და განკარგ. კრებ. 1923 წ. მე-9 №-რი, მუხ. 141) ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ამიერ-კავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წლის ოქტომბრის 7-ს დადგენილებით სამოქმედოთ შემოღებული რკინის გზათა წესდების 101 მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნეს.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ს. ამბარცუმიანი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

დეკრეტი

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი 1924 წ. სექტემბრის 8.

მოსავლიანობის კატეგორიები დაწესების შესახებ დასავლეთ საქართველოსთვის.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ ა | წ. აპრილის 24-ს გამოცემული დეკრეტის (კანონთა და განკარგულებათა კრებული ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მთავრობისა 1924 წ. № 4, მუხ. 90) მე-12 მუხლის განსავითარებლად—ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დასავლეთ საქართველოს მაზრები მოსავლიანობის კატეგორიების მიხედვით განაწილდეს შემდეგნაირად:

2 კატეგორია (25-დან 30 ფუთამდე)—ქუთაისისა, რაჭისა და სენაკის მაზრები.

3 კატეგორია (30-დან 35 ფუთამდე)—ზუგდიდისა, ლეჩხუმისა, ოზურგეთის და შორაპანის მაზრები, აგრეთვე აჭარა და აფხაზეთი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ს. ამბარცუმიანი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

ორშაბათს დილის 8 საათზე (სააგიტ-საპროპ. განყოფილების ბინაზე) გაიმართება ქიმიურ მრეწველობის მეგობართა საზოგადოების პრეზიდიუმის სხდომა. სავალდებულოა ამხ. კამაშკა-ვორონოვის, პოპოვის, სუროვენკოვის, იჯონის და მუჩაიძის დასწრება.

თბ. კომ. სააგიტ.-საპრ. განყოფ. გამგე პენიაკოვი.

საქართველოს ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის **თბილისის კომიტეტი** იტყობინება, რომ შაბათს, საღამოს 5 საათზე საქართველოს პროფკავშირთა დიდ დარბაზში შესდგება ელექტრონზე მომუშავეების კრება, რომელიც მიძღვნილი იქნება ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი.

საქ. ახალგაზრდა ლენინელა კომკავშირის თბილისის კომიტეტი.

პარასკევს თბ. კომიტ-სააგიტ-საპრ-განყოფ. დილის 11 საათზე გაიმართება თათბირი შემდეგი საკითხის განსახილველად: „**შრომის ნაყოფიერება და ხელფასი**". სავალდებულოა ამხ. შვარპის და აგრეთვე სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს ეკონომიურ განყოფილების **გამგის და საქ. ცენ. სტატისტიკურ სამმართველოს წარმომადგენელის** დასწრება.

თბ. კომ. სააგიტ.-საპრ. განყოფ. გამგე პენიაკოვი.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის **არსენალის რაიკომის აღმრიცხავ-სტატისტიკური განყოფილება** იტყობინება, რომ ქვემოდ ჩამოთვლილი ამხანაგები აუცილებლად უნდა გამოცხადდენ ორი დღის ვადაში რაიკომში 9-დან დღის 2 საათამდე. 1) ხუბულური ეკატერინე, 2) ბერიძე ალექსანდრე, 3) ბაბაევი ოგანეს, 4) ლევიცკი სერგო, 5) ზაბაშტო ნიკოლოზ, 6) ზარემბო ალექსანდრე 7) [illegible] დიმიტრი, 8) ოგანესოვი ივანე, 9) არუტინოვი ისაკი, 10) ახუნდოვი [illegible] 11) დოშოიანი ვართან, 12) მოსესოვი ერგანდი.

მდივანი მაშკევიჩი.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იტყობინება, რომ შაბათს, 13 სექტ. სად. 6 ს. სახ. ოპერის შენობაში შესდგება **ქალაქის რაიონის საერთო—რაიონული კრება.** დღის წესრიგშია: ამხ. მიასნიკოვის მოხსენება საერთაშორისო და შინაურ მდგომარეობის შესახებ.

სავალდებულოა კომპარტიის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება.

პასუხისმგებელი მდივანი: გ. სტურუა.

განცხადებები

თბილისის მ.-გ. მილიციის სამმართველო და ადგილკომი ამით აუწყებს ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ გუშინ, 9 სექტემბერს ერწოს სამილიციო რაიონის ფარგლებში ბანდიტების მიერ ვერაგულად მოკლულ იქნა იმავე რაიონის მილიციონერი ამხ.

კონსტანტინე ფილიპეს ძე ჩიქოვანი

ცხედარის გამოსვენება მოხდება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან 12 სექტემბერს, დღის 3 საათზე. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე.

ნ. 1489. 1—1.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: დაშა, ნოტიო, ირაკლი და გულიადა აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს: პირველი დაუვიწყარი მეუღლის, მეორე ძვირფასი ძმის, მესამე და მეოთხე კარგი ბაბაჩის

მუკუ ლოლუას

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის გამოტირილს, რომელიც დანიშნულია შაბათს, სექტემბრის 13, ქ. ფოთში, საკუთარ სახლში.

1981. 2—1.

საჯარო ვაჭრობა

ა.-წ. 14 სექტემბერს, დილის 9 საათზე მუშათა მთლიან კოოპერატივის მთავარ საწყობში კირკის ქ., № 7, (შესავალი კამოს ქუჩიდან) დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

შემდეგ საგნების გასასყიდათ: შინაგანი ანთების ნავთის მამოძრავებელი 11 და 8 ნახ. ძალის, ბურღული, აღდაშის ბრინჯი, შაქრის ფქვილი, კართოფილის ფქვილი, ხორცის საჭრელი, გაიკის გასაღები, საბურღავი დაზგები, ბორ-მაშინა, ბორჯომის ბოთლები, ცალიერი ყუთები, მონპასიე, ძმარი, გრამოფონის ფირფიტები, მაკარონი, სახარინი და სხვა საქონელი.

ნ. 1492. 2—1. სავაჭრო განყოფილება.

განცხადება

თანახმად საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა 1924 წ. 13 აგვისტოს თარიღით

(ოქმი № 83, მუხლი 35) რუსეთის სავაჭრო-სამრეწველო ბანკს მიეკუთვნა ახალი სახელწოდება:

„საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო ბანკი"

ამ დადგენილების თანახმად ცხადდება ყველას საყურადღებოდ, რომ ამიერიდან აღნიშნულ ბანკის კანტორას თბილისში ეწოდება:

„საბჭოთა კავშირის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის სრულიად საქართველოს კანტორა"

საბჭ. კავშირის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის გამგეობა.

ნ. 1490. 2—1.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტროსადგურ აგების სამუშაოთა სამმართველ

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 1-ლ ოქტომბრისათვის მის მიე ნიშნულია ქალაქ თბილისის ფარგლებში ორთაჭალაში 29 კი ეტრი დაჯავშნულ ჯირკინების სანგრებში ჩალაგების სამუ ნარდით გაცემის შეჯიბრება.

სამუშაო შესრულებული უნდა იქნეს ზაჰესის მასალებით ხ მონარდეს ხელსაწყოებით და მოწყობილობებით.

სამუშაოს შესრულების ვადა არის ოთხი თვე ნახევარი.

იმ შემთხვევაში, თუ მონარდე ვადაზე არ დაამთავრებს ა სამუშაოს, მას ზაჰესის მიერ გადახდება ჯარიმა ყოველ ვადაზე დაცილებულ დღეში 1 პროცენტის რაოდენობით დაუმთავრ სამუშაოს ღირებულებიდან ხელშეკრულების ფასებით.

აღნიშნულ სამუშაოს სრულად ამღებ მსურველ პირთ და წესებულებათ შემოაქვთ ამის შესახებ წერილობითი განცხადება ნადო საღერბო მარკებით დაწესებულ თეთრანიმუშზე („ბლან დახურულ კონვერტში წარწერით: „ზაჰესის სამუშაოთა უფროსს ოქტომბრის შეჯიბრებისათვის", რომელ რიცხვსაც გახსნილი კონვერტები.

განცხადებას დართული უნდა ექნეს ზაჰესის სალაროში ცხადებულ ჯამიდან 5 პროცენტის რაოდენობით საწინდარის ნის ქვითარი.

უძრავი ქონება და სხვა ამგვარი საწინდრად არ მიიღება.

საწინდარის წინასწარ შემოტანისაგან განთავისუფლებული სახელმწიფო ორგანოები და სათანადოთ რეგისტრაციაში გატა ლი მუშათა არტელები.

იმ პირთ და დაწესებულებათ, რომელთ სამუშაო არ დარჩ საწინდარი დაუბრუნდებათ უკან შეჯიბრების შედეგების გამო ვისათანავე დაუყოვნებლივ. ხოლო იმ პირთ და დაწესებულე რომელთ სამუშაო გადაეცემათ შეჯიბრებით, საწინდარი დ ზაჰესის სალაროში და გადიდებული იქნება სამუშაოს საერთო რებულებიდან 10 პროცენტამდე პირველი მისაღებ თანხებიდან კავებით, რომელიც დაუბრუნდებათ უკან სამუშაოს სრულად პირნათლად შესრულების შემთხვევაში.

სახელმწიფო დაწესებულებათ და მუშათა არტელებს სამ სრული ღირებულებიდან 10 პროც. რაოდენობით საწინდარი საქმნელად პირველ მისაღებ თანხებიდან დაეკავებათ 15 პროც.

დაწვრილებითი პირობების, ნახაზების, სამუშაოთა რაო პის და ტექნიკური პირობების გაცნობა მსურველთ შეუძლიანთ ის ტექნიკურ განყოფილებაში ყოველ დღე დილის 10 12 ე (ქ. თბილისი ლადო დუმბაძის ქ. № 3). იქვე იქნება გა განცხადებისათვის თეთრა-ნიმუში.

სამუშაოთა უფროსი, ინჟენერი ბ. ჭიჭინაძე.

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მე ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღ

ბით. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

ექიმი ბ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულისა და ჭლექით დაავადმყოფებულნი. სპეც. ცდების ბა—მეშხაპ. 914, ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიულ ღება და კიბოს წამლობა

რენტგენის სხივებით

დილ. 9—1დღ. და 6—8 ს. სად. ბებუთოვის ქუჩა № 23. 1562 1

მასწავლებელი

ს. გრიაზნოვი

ამზადებს მოწაფეებს. მცირე-წლოვანთ (6—10 წ.) სრულ პანსიონზე.

ნახვა დღით 3—5 საათამდი

ვერა იზმაილოვის შესახვევი № 6. შესასვლელი ჩიხიდან ნ. № 147

დაკარგა პირადობის წიგნაკი № 476 მიხეილ მირიანაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 1988 1—1.

დაკარგა მეტრიკული მოწმობა № 236. მიღებული 1923 წელს. ჩაითვალოს გაუქმებულად. ერმილე ფილიპეს ძე ბაკურაძე. № 1987 1—1.

დაკარგა საარიცხვო ბარათი № 595 ვახტანგ გორგაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 1983 1—1.

დაკარგა ქორწინების მოწმობა № 38 გაცემული კარაპეტ და ნადეჟდა მაზიანის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებლად № 1982 1—1.

დაკარგა პასპორტი და რეგისტრაციის ქაღალდი მიხეილ აკოშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად № 1977 1—1.

დაკარგა კავშ. წიგნაკი № 407.336 ლევან მშვენიერიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 1978 1—1.

დაკარგა პირადობის მოწმობა № 178 სოფრომ ხორავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 1975 1—1.

დაკარგა პირადობის მოწმობა სანდრო ბეჟიტრიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 1985 1—1.

დაკარგა პირადობის მოწმობა ნოე სიხარულიძის სახელზე. № 236. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 1974 1—1.

დაკარგა პირადობის არეთა ბატაშვ ლოს გაუქმებულად. № 198

დაკარგა სამხედრო [illegible] რათი № 595, თბილისის სამხედრო კომისარი ონიფანტე ალექსიძე მიხეილ ჩაითვალოს გაუქმებლად. № 197

დაკარგა სამხედრო ბიდან განთავისუ მოწმობა, მოცემული შოროპანის საფერშლო სკოლის საალ თბილისის საფერშლო სკოლის სხვა მიელინებული საბუთები, პაველ მერის ძე ჩიჩუას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 198

დაკარგა ოჯახობის პორტი, მოწმ ტროტრომოტში და დუშეთის ნამსახურობის ნიკოლოზ კოსტა მგალობლიშვილის სახელზე გაუქმებულად. № 19

დაკარგა შემდეგი პირა თები: 1) ერთ ტიული ბილეთი საქ. ორგანიზაცი თის კომუნისტური პარტიის № 2) მანდატი სოციალისტური საბ პუბლიკების კავშირის ცენტრალ რულებელი კომიტეტის № 29, კავკასიის საოლქო საკონტროლო წევრის № 3, 4) უფასო სამგზავ რკინის გზებით, წყლით და ჰაერ კავშირში № 669. ზემოხსენებულ ტები დღეიდან ითვლება გა მნახველს ვთხოვ წარმოგზავნოს რტიშჩევის ქ. № 4 ა | კ. საოლ ტეტში რუს-კომ-პარტ-გარდასა სტუროვაზე. № 1

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის

ბალანსი

1924 წ. 1 სექტემბრისათვის.

აქტივი

1.	კასის ანგარიში	590	58½
2.	მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	334	29
3.	მაღაზია № 1 ანგარიში	62.412	81
4.	ხარჯები მმართველობაზე	29.607	67
5.	ავანსები და საქვეანგარიშო თანხები	8.570	53½
6.	დებიტორები	30.937	67
7.	ქაღალდის საწყობის ანგარიში	15.776	14½
8.	წიგნების " "	188.954	34
9.	საკომისიოდ მიღებული წიგნების მაღაზიის ანგარიში	5.519	35
10.	წიგნების გაიაფება 1924 წელში	40.374	88½
11.	მოძრავი ქონების ანგარიში	1.379	74
12.	საწევრო გადასახადები	865	62
13.	მიღებული თამასუქები	48.808	22
14.	სახ. განათლ. კომისარიატ. ანგარიში	14.426	70½
15.	საბავშვო სათამაშოები	2.067	89
16.	სხვადასხვა პროცენტები	957	95
		451.584	40½
		451.584	40½

ნ. 1491 1—1

პას

1.	თანხის ანგარიში	232.786	31
2.	პოლიგრაფ. განყოფ. ანგარიში	3.972	51
3.	საკომისიოდ მიღებული წიგნები	8.059	58
4.	კომისიის ანგარიში	1.131	93
5.	წიგნების გამომცემლობა	27.810	43½
6.	გარდამავალი თანხები კრედიტ.	17.125	—
7.	კრედიტორები	45.937	76½
8.	სალიტ. სამხატვრო სექცია	3.922	73
9.	ამიერ-კავკასიის საფინანსო კომიტეტ. სესხები	55.000	—
10.	გაცემული თამასუქები	25.975	46
11.	წმინდა მოგება 1923 წ.	23.021	36
12.	საკანცელიარიო ნივთები	412	25½
13.	სახელგამის ქუთაისის განყოფ.	6.423	97
		451.5	
		451.5	

საქართველოს სახელგამის გამგე ა. ზუმბაძე.

მთავარი ბუღალტერი ნადიროვი.

ტირაჟი—15.500

სტამბა „ზარია ვოსტოკას", საშა წულუკიძის ქუჩა № 4.